


წელიწადი
პირველი



30 ივნისი
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

ბამოლის ხუთშაბათობით

ხელის მოწამარ: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასალების წემოდ. №15 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაზეთით და გაზეთით და... 6 მან. — თითო ნომერი..... — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განაწარმებს და შეამოკლებს დასახელებულ გამოცემებში წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	---

საძიებელი: I. დუნაიის მხედრობის შესახებ. II. ომის ამბები.—III. საზოლიტიკო მიმოხილვა — IV. სმა ლაზიანას საფლავიდან, ლექსი გიორგი ორბელიანისა. — V. წერილი წემო ქართლიდამ. —VI ოსმალის საქართველო, შეშუქეთი.—VII. მოლაღატე ბაშივი (მოთხრობა) — —VIII. ჩვენის ისტორიისათვის მასალა (დასასრული).

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“ პირველის ივლისიდან პირველს მომავალს იანვრამდე. ფასი ამ ექვსის თვისა ოთხი მანეთია.

დუნაიის მხედრობის შესახებ

აწინდელის ომიანობის დედი-მარღვი ბაღკანიის ნახევარ კუნძულსა და ამიტომაც ქვეყნის უმთავრესი ურდადლება დუნაიის მხედრობისკენ იყო და არის მიქცეული. მართლა და ამ ომის ავი თუ კარგი დაბალაოვება დუნაიის მხედრობაზედ არის დამოკიდებული, რომელიც შეიცავს უპირატესს ძალას მეომარის ლაშქრობისას. დუნაიის მხედრობის მოქმედება ზირდაპირ იმ ადგილებზედ უნდა გაიშალოს, რომელთა სვე-ბედი წარწერილია ამ ომიანობის დროსაზედ. ეს გარემოება, სხვა რომ არა იყოს რა, საკმაოდ ამართლებს იმ უპირატესს ურდადლებას, რომელიც დუნაიისკენ არის მიქცეული და არა მცირე აზრისკენ, რომელსაც რასაკვირველია, აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ომის საზოგადო მიმდინარეობაში, მაგრამ ეს მნიშვნელობა იმდენად არსებობს, რამდენადაც კავკასიის მხედრობა აქედ გამოიტყუებს ოსმალეთის ჯარს და მით დუნაიაზედ

ოსმალეთს ძალას შეუძირებს. ამის გამოისობით ეველანი დიდის მოუთმენლობით მოელოდნენ მდ. დუნაიის გადასვლას რუსის ჯარის მიერ. ამბობდნენ—აი ნამდვილი ომი მაშინ დაიწეებაო. რუსის მხედრობას ორი უმთავრესი დაბრკოლება უდვა წინ დუნაიაზედ: ოსმალის დუნაიის ფლოტი, რომელიც თავისის ჯაშუნიან სომალდებით იცავდა დუნაიას, და ის ციხე სიმაგრენი, რომელიც მდინარის მხარეზედ არიან აშენებულნი იმავე განსწრაფითა. დიდი ხერხი და მეცადინეობა იყო საჭირო, რომ რუსის ჯარს ეველა ეს დაბრკოლება აეცილებინა თავიდან და იმ ალაგას გადასულიყო დუნაის წელსა, სადაც მტერი ეველაზედ ნაკლებ მოელოდა. დუნაიის მხედრობამ ეველა ეს ხერხი და მეცადინეობა გამოიჩინა კიდევ და ორთავე დაბრკოლებას აუვიდა: ორი ჯაშუნიანი სომალდი დაღუპა და იმ ალაგას გადავიდა, სადაც ოსმალეები სრულებით არ მოელოდნენ. მაგრამ ისიც უნდა აღვიაროთ, რომ რუსეთს აწინდელ ომიანობაში სოკი იმისთანა გარემოება შეემთხვა, რომელიც დიდი შემწეობა მიჰსცა და ცოტად თუ ბევრად გაუადვილა ეს ზირველი ბიჯი გამარჯვებისა (ე. ი. დინაიაზედ გადასვლა). ეს გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ რუმინამ რუსეთს მხარი მისცა, რაკი ეს მოხდა, რუსეთს მიეცა შემდება, რომ სწრაფად და ბლომად თავისი ჯარი დუნაიაზედ შეეკრიბნა. სურსათზედ, ჯარის საკვებაზედ რუსეთს ბევრი ფიქრი და სრუნვა აღარ მოუხდა, რადგანაც რუსეთიდან რუმინაზედ რკინის გზა არის გაეგანილი, და გარდა ამისა თვითონ რუმინიამაც სახდოება მოიპოვა, იმიტომ რომ რუმინია დღეს ის აღარ არის, რაც უწინ იყო, ახლა

მოშენებულია და გაეყვებული.

ერთის სიტყვით, ესეა თუ არა, ამ ქამად რუსის ჯარი დუნაიის იქითა ნაპირას მოქმედებს. რა განზრახვა აქვს რუსის ჯარს და საითკენ მიჰმართავს თვის მოქმედებას, ამისი ჯერ არაუინ იცის. მაგრამ რა განზრახვაც უნდა ჰქონდეს, მაინც ბალკანიის მთებს ვერ ასცილდება, სადაც დუნაიაზედ ნაკლები დაბრკოლება არ მოეწივს.

დუნაიის მხედრობა, როგორც მოგვსენებთ, არ ალავას გავიდა მდინარის იქითა ნაპირას გალანის ზირდაპირ და ზომინცის ზირდაპირ, ქ. სისტოვას (რუმსუკისა და ნიკოლის შუა). აქედგან ბალკანიის მთებისკენ ვაქ. ტინოვასზედ მიდის, და შემდეგ მთის იქით ქ. კანანლიკაზედ ადრიონოპოლისაკენ. ამ გზის რუმსუკის გზა ერთვის. ამ გზაზედაც მოუნდება რუსეთს ჯარის დაქვება, რადგანაც რუმსუკში ოსმალეთს ჯარი ბლომათა ჰქავს, თორემ ოსმალს ჯარი უკან მოექცევა რუსებს და საქმეს გაუჭირებს. ამის გამო რუსის ერთი ნაწილი ბელაშია, რუმსუკის გზაზედ. ბოლგარიიდან ბევრი სხვა გზაც გადადის ბალკანიის მთებში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ შემოხსენებულს გზას ვინსენიებთ, რადგანაც რუსის მხედრობა ჯერ-ჯერობით მარტო ამ გზაზედ მოძრაობს და ეს გზა მართლად სხვა გზებზედ უფრო უკეთესია და უფრო ნაკლებს სიძნელეს წარმოადგენს.

ის რუსის ჯარი, რომელიც გალანის ზირდაპირ გადავიდა დუნაიის იქითა ნაპირას, დობრუჯაში მოქმედებს (დობრუჯა ოსმალეთის პროვინციაა, რომელსაც აღმოსავლეთით შავი ზღვა ესაზღვრება, ჩრდილოეთით და დასავლეთით დუნაიის მდინარე). დობრუჯა ჭაობიანი ალავი არის და ძალიან ძანებელია ჯარის ჯანმრთელობისათვის, მეტადრე საფსულში, როდესაც დიდი გვალვა იცის. ამის გამოისობით რუსის ჯარს დიდი დაბრკოლება მოეწივს თვით დობრუჯის ბუნებისაგან, თუ ოსმალეები დიდ ხანს შეაქვნიებენ ამ ალავს და წინ არ გაუშვებენ.

დობრუჯაში, დუნაიიდან შავ ზღვამდე (ქ. ჩერნოვოდიდან ქ. კუსტენჯამდე) რკინის გზა არის გაყვანილი, ამ გზის სივრცეზედ გამაგრებული ადგილი მისდევს, რომელსაც ტროიანის თხრილს (Трояновъвалъ) ეძახიან. ამ ქამად ოსმალეთს 25, 000 ჯარი უყენია დობრუჯაში ამ ადგილის დასაცველად. ამ ადგილამდე რუსის ჯარს არაუთარბი შესანიშნავი სიძნელე არ შეეძთხვევა. დობრუჯაში წასულა ეგვიპტეს ზრინცი ჰასსანი, რომელსაც განზრახვა აქვს რუსის ჯარი აქედამ იწინ არ გაუშვას.

ბოლოს უნდა მოგახსენოთ, რომ ეველასზედ უკეთესი და უშიძარი გზა სტამბოლისკენ სერბიიდან მიდის სოფიაზედ, ფილიპოპოლზედ დი ადრიანოპოლზედ.

მაგრამ სერბია, როგორც მოგვსენებთ, სხვა და სხვა მიზეზის გამო ომში არ ერევა და ამიტომ ეს გზა რუსის ჯარისთვის სრულებით უქმია. აი რას იწერებინან სტამბოლიდან ერთს ავსტრიის გაზეთში: „ოსმალეებს ძალიან ეძინიანთ, რომ რუსებმა სერბიაზედ არ გაატაროს თავისი ჯარი, რადგანაც ამ შემთხვევაში ოსმალეთი იძულებული იქნება დაჰყაროს თოფ-იარაღი და უპირატესთა სახელმწიფოთა გულმტკივნეულობაზე მიაგდოს თავისი საქმე. რუსეთმა რომ სერბიაზე გაატაროს თავისი ჯარი, ოსმალეთი ვერას ვხით ვეღარ შეიძაგრებს რუსის ჯარს და ღონე მისილი იქნება და სტამბოლს ვეღარ დაიცავს.“

О З И С А М Б Е Б И.

იმ ომში, რომელიც ზივინთან გაიმართა 13 თიბათვეს, მოკლეს: საპერის ბატალიონის ზოდზორუჩიკი შრადერი; გრუზინსკის ზოლკისა შტაბს კაპიტანი ბარავიკი და ზოდზორუჩიკი საგინოვი; ტფილისის ზოლკისა შტაბს კაპიტანი აფანასიევი (ალექსანდრე), ზარუჩიკი იასოვიჩი, ზოდზორუჩიკი რუდიევიჩი და ზრანორშიკი სოფიევი და 118 ჯარისკაცი; დასტერესო: კავკასიის გრენადერის დივიზიის უფროსი, ღენერალ-მაიორი კომაროვი, ღენერალის შტაბის ზორუჩიკი ღამიკოვსკი; ერევნის ზოლკის ზოდზორუჩიკი ბარაბაშევი 2; გრუზინსკის ზოლკისა ზოდზორუჩიკები საგინოვი და უშაკოვი. ზორუჩიკი აფანასიევი, ზოდზორუჩიკი თ. ბარათოვი 1; ტფილისის ზოლკის უფროსი ზოლკოვნიკი რიდიგერი, ზოლკოვნიკი ალექსანდერი, მაიორი სულიკოვი; კაპიტნები: ბარკოვსკი, ანდრიევესკი; შტაბს-კაპიტნები: თ. არდუთინსკი, თ. ორბელიანი, მაჭავარიანი, ზორუჩიკი სნეჟკოვი, ზოდზორუჩიკი ჩოგლოკოვი; ზრანორშიკები: თერძიევი და ალაღაროვი; მინგრელსკის ზოლკისა შტაბს-კაპიტანი კორენევი, ზოდზორუჩიკი ვანხამე და მიშენკო; გრენადერის არტილერიის ბრიგადისა შტაბს-კაპიტანი გიშვიუსი, ზოდზორუჩიკი ალთევი; დაღისტინის ირრეგულარიის ზოლკის უფროსი ზოლკოვნიკი კვინიტაძე და ნიჰჯარის-კაცი; გაკაწრეს: ზირველის კავკასიის საპერიის ბატალიონის ზოდზორუჩიკი ზროტოპოპოვი, გრუზინსკის ზოლკის კაპიტანი საგინოვი და ზორუჩიკი ვანხამე; ტფილისის ზოლკისა ზორუჩიკი საგინოვი, ზორუჩიკი ავაევი და 26 ჯარის-კაცი.

20 თიბათვეს ღენერალი ღორისმელიქოვი აინარიდან არდოსტში მისულა. ღენერალ გვიძანის

ჯარი 21-ს ხაჯი-ხალილში დახანაკებულა. ამ ჯარს ომი ჰქონია მაგარჯითან იმ ოსმალს ჯართან, რომელიც ეარსიდგან გამოსულა. ოსმალები ისევ ეარსში დაბრუნებულან.

– 23 თიბათვეს მისი იმპერატორის უმაღლესობა კავკასიის მთავარ-სარდალი და მისი შვილი მის იმპერატორის უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზს მისეილისძე, აგრეთვე შტაბის უფროსი მანრიდამ ალექსანდრე ზოლში მიბძანებულან.

– ღენერალ ალხანოვს ახსანები გაუდევნია და დიდი ზარალი მიუცია. ომში დაჭრილან ლაბინსკის ზოლკის უფროსი გოლიანოვსკი, ახალციხის ზოლკის ზორუნიკი ბარონი კლეისტი და 20 ჯარის კაცი.

– 26 თიბათვეს ოსმალების სომალდებს ნიკოლავუსში ჯარი გადმოუსხამთ, რომელიც როდესაც ჩვენები მისულან, ისევ უკან გაქცეულან. ამავ დროს ოსმალებს მუსხანტატესთვის უშობარები უსვრიათ. ჩვენის მხრით ერთი მოკლულია და ორი ჯარის კაცი დაჭრილი.

– სოფ. ასინოს ალების დროს თ. ნაკაშიძისა და თ. ჯორჯაძის მიერ, 6 ჯარის კაცი მოგუიკლეს და 3 აფიცერი და 21 ჯარის კაცი დასჭრეს. დაღისტანში და თერგის ოლქში სრულიად დამშვიდებულან. გარდა ალიბეგის შაიკისა, რომელიც იხინის ტყეში დამალულა.

– 16 თიბათვეს ღუნაიის მხედრობას დობრუჯაში ბაბადალი დაუჭერია. ტრაიანის თხრილამდე რუსებს სრულებით გაუდევნიათ ოსმალები.

იმ ჯარის შესახებ, რომელიც სისტოვიდამ მოძრაობს, შესანიშნავი ამბავი მოვიდა: 25 თიბათვეს ღენერალ გურკოვს ქ. ტირნოვა დაუჭერია და 3,000-ზე მეტი ოსმალს ჯარი გაუდევნია ოსმან-ბაზრისკენ. ტირნოვის მცხოვრებნი დიდის ალტანებით მიჰკეებებიან თურმე რუსებს, ქალაქის ალების შემდეგ ზარაკლისი გადუსდიათ ხელმწიფისთვის. ბევრი სამხედრო ნივთიულობა და ალაფი დარჩენიათ რუსებს.

საპოლიტიკო მიმოხილვა

საფრანგეთი.–25 (13) თიბათვეს დაიშალა საფრანგეთის დამუტატთა ზალატი. უკანასკნელი კრება დაიწყო შემდეგის სიტყვით, რომელიც წარმოჰსთქვა ზალატის ზრეზიდენტმა გრევიმ: „ვიდრე განცობებთ ჩემს მიერ მიღებულ მოწერილობას, მე მსურს გამოუყენადო ზალატს ჩემი გულითადი მადლობა ჩემდამი მარადის ზატევის ცემისათვის. ჩვენი ქვეყანა, რომელსაც მიჰმართავს ამ კამად ზალატი, ეტყვის

ზალატსა, რომ ამ მოკლე-ხნის განმავლობაში ზალატს გულითადი სამსახური გაუწევია საფრანგეთისა და რესპუბლიკისათვის. ქვეყანა გამოუცხადებს ზალატს, რომ მას, ზალატს, არას ოდეს არ უღალატნია ხალხის მონდობილობისათვის. (დიდი ტამის ცემა). შემდეგი წერილი მომივიდა შინაგანთა საქმეთა მინისტრისაგან:

პარიჟი, 25 თიბათვეს 1877.

„უფ. ზრეზიდენტო,—მაქვს ზატევი მოვართოთ დეკრეტი, რომლითაც რესპუბლიკის ზრეზიდენტმა სენატის ნება-რთვითა გადასწვეიტა დეპუტატთა ზალატის გადაქენება. გთხოვთ აცნობოთ ეს დეკრეტი ზალატს დღევანდელს კრებაში.“

შემდეგ უფ. გრევიმ მაკ-მაგონის დეკრეტი წაიკითხა: „რესპუბლიკის ზრეზიდენტმა კონსტიტუციის მეხუთე მუხლის ძალით სენატის ნება-რთვით, გარდასწვეიტა: მუხლი 1. დეპუტატთა ზალატი გადაქენებულა.

–2. არჩევანის კრებანი სამისთვის განმავლობაში იქმნებიან შევრილნი ახალის არჩევანისათვის.

–3. სამინისტროს მოთავემ და შინაგანთა საქმეთა მინისტრმა აღსრულებაში უნდა მოიყვანონ ეს დეკრეტი.

პრეზიდი კაკ-მატონი, ჰერცოგი მაჯუნტისა.“

მაკ-მაგონს უსათუოდ ეთაკილება რესპუბლიკის ზრეზიდენტობა, რომ მარტო მაჯუნტის ჰერცოგობით იხსენიებს თავისთავსა.

დეპუტატებმა დაიძახეს: „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს მშვიდობიანობას!“ და დაიშალნენ.

მაკ-მაგონის დეკრეტი სენატშიც წაიკითხულ იქმნა. ორთავე ზალატის რესპუბლიკელებმა კომიტეტის დაარსება ისურვეს, რომლის წევრთა თვალ-უერი უნდა ადვენონ და ადმინისტრაციის ეველა უწყსოება არჩევანის დროს მხედველობაში იქონიონ.

მეორე დღეს რესპუბლიკის დანის სენატორებმა დეკლარაცია გამოაცხადეს, რომლითაც აუწყებენ საფრანგეთის ხალხს, რომ ხელმეორედ ხალხმა უნდა ამოარჩიოს ის 369 დეპუტატი, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგი წინადადება მიიღეს 19 თიბათვეს, თუ ჰსურს ზირველად და უკანასკნელად დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ მხოლოდ რესპუბლიკაა საფრანგეთის დამცველი და კეთილმდგომარეობის დამაღვინებელი.

– მანამ ზალატს გადაქენებდა, მთავრობა სდევნიდა ქურნალ-გაზეთებს და სხვა და სხვა კერძო ზირთა, რომელნიც ცოტაოდენ წინააღმდეგობას

იხენდენ ახალის სამინისტროსადმი. დეპუტატებისათვის კი სიტუაციის ზირიდან გამოვლევას მთავრობას არ შეეძლო, რადგანაც კანონის ძალით დეპუტატის დასჯა ზალატის ნება დაურთველად შეუძლებელია. მაგრამ კი ესაა, როდესაც დეპუტატები კერძო ზირნი არიან, მთავრობა უოველ ღონისძიებას იხმარს, რომ უოველი თავისუფალი აზრი და სიტუვა იმთავაც აუკრძალოს. ამის გამოცხადებით რესპუბლიკელ სენატორებს ერთი ორად მომეტებული შრომა მოელოთ: რის თქმა და ვარკება დეპუტატებს აღარ შეუძლიანთ, მას მათი მომხრენი სენატორები ჰკისრულობენ. ამის გამოცხადებით რესპუბლიკის დასის სენატორებს ხშირად ექმნებათ ვრილობა და ხშირად წარმოხსენებენ სიტუვას, მანიფესტებს გამოცემენ და გაავრცელებენ მთელს საფრანგეთში.

გამბეტამ თითქო ამ შემთხვევითაც ისარგებლა და ერთს კერძო ვრილობაში წარმოხსენა სიტუვა, რომელიც უკანასკნელი მანიფესტი იქმნება რესპუბლიკელებისა. გამბეტამ ჰსთქვა: „რას დავესწართ? თხუთმეტის თვის წინად გამოცხადებულს ხალხის სურვილს, დღეს ეურს არავინ ათხოვებს, აი რას დავესწართ. ჩვენ ხელმეორედ არჩევანს უნდა შევუდგეთ და ვეველასეუდ უწინარეს უოველ ღონისძიებას ვიხმაროთ, რომ როგორმე ჰქმნარიტებამ თავი არსად არ გამოჰქოს და ხალხს არ დაენახოს. არსად არ იქმნება არც ვრილობის თავისუფლება, არც წერა-ბეჭდისა, არც არავითარი თავისუფალი სჯა და ბაასი. იმედი გვაქვს, რომ ამ გვარად განწოვილი საფრანგეთი. მთელის ქვეყნის წინაშე თავის-თავს უარ-ჰყოფს, რასაკვირველია, ჩვენდა სასარგებლოდ. (სიცილი და ტაშის ცემა.)

„ბატონებო, თუ ამაში მდგომარეობს ჩვენთა მოზირდაზირეთა ჰოლიტიკა, დიდი წინასწარ-მეტეველობა არ მომინდება, რომ ვსთქვა-მავ ჰოლიტიკას ქარი წაიღებს როგორც ბუმბულსა. ამათ არ იცინან, რომ საუოველთაო არჩევანი ესაა ის აღარ არის, რაც უწინ იყო; ესაა ხალხს იმოდენად გამოცდილია, რომ შეუძლიან მტკიცედ დაიჭიროს თავისი თავი და თვითონვე წინ-გაუძღვეს თავის საქმეს. იგი იქმნება უწინ მორხილი იყო, იქმნება თვალ-ახვეული, ადვილად ამეოლი და მსთალი იყო, მაგრამ ეს დრო დიდი ხანია განჰქრა (ჰო, მართალია). ესაა ვერ ჰხოვებთ ერთს იმისთანა მამულის შვილს, რომელიც გულში არ იყოს დარწმუნებული, რომ უსაჭიროესი მმართველობა საფრანგეთისათვის რესპუბლიკაა; ვერც ერთს ვერ ჰხოვებთ, რომელსაც

არ ესმოდეს, რომ მხოლოდ რესპუბლიკელებს შეუძლიანთ რესპუბლიკა წარმართონ (დიდი ტაშის ცემა).

„ეჭვი არ არის, ბატონებო, რომ რესპუბლიკის მკვიდრი და ნაუოფიერი დადგენა საფრანგეთში მხოლოდ რესპუბლიკელებს შეუძლიანთ. ამიტომაც საფრანგეთმა 20 თებერვალს 1876 წ. ამოირჩია გულწრფელი და სინილისიანი რესპუბლიკელები, რომელნიც, თექვსმეტის თვის განვლის შემდეგ, უფრო მტკიცედ არიან შეერთებული ვიდრე არჩევანის ზირველს დღეს (ძალიან კარგი, ტაშის ცემა).

„მოწალენო ხელმწიფენო, ჩვენნი მტერნი, რასაკვირველია, უოველგვარ უწესობას და მუქარას მოჰსჭიდებენ ხელს, მაგრამ ვერას გააწეობენ. გულდინჯად იეავით, ვეველა ამ მანქანებას წინ დავანუდრებთ ნამდვილს კანონიერებას და ჰქმნარიტს სარგებლობასა სამშობლოისას. ფლიდობას და ქვემ-ქვემობას წინააღვეუდგენთ გულწრფელობას, - მუქარას წინააღვეუდგენთ მხნეობასა. ჩვენს წინააღმდეგებს ჩვენ დაუმტკიცებთ, რომ კანონი და მართლმსაჯულება ჯერ არ გაუქმებულია. (დიდი ქება და ტაშის ცემა).

„ესაა, ერთი რამ არის უეჭველი და შესანიშნავი, საუვარელნო მამულის შვილნო: ჩვენი მოწინააღმდეგნი ისეთ მანქაში არიან გაბმულნი, რომ დიდად დაიხარებენ კიდევ ოლონდ იმ მანდიამ თავის დასხნა შეიძლონ.

„მაგრამ არა უშავს რა, დეე გამოვიდენთ მოედანსეუდ ვისაც მონარხიის დადგენა ჰსურს საფრანგეთში, ჩვენ მსათა ვართ და ბრძოლას არ ვავექცევით.

„მთავრობამ ჩვენ რაც უნდა ხელ-ფეხი შეგვიკრას, გზა დაგვიხლართოს, მაინც ჩვენს ამომრჩეველებს თამამად წინ წარუდგებით. დარწმუნებული ვართ, რომ ამომრჩეველნი იმათ ამოირჩევენ, ვისაც დრომასეუდ უწერიათ „სამშობლო და რესპუბლიკა.“ (ქება ტაშის ცემა.)

„საუვარელნო მამულის შვილნო, გთხოვთ ნუ დაჰკარგავთ სასოებას რესპუბლიკისას და ნუ დაეცემით სულთ. მთელი საფრანგეთი თანავიგრძნობს ჩვენ და, დამიჯერეთ, მართალს ვამბობდი, რომ ესაა ვადვივართ მეთქი ზალატადამ ჰმზ და დავბრუნდებით 400. საფრანგეთი რომ ჩვენკენ არ იყოს, ჩვენი მოწინააღმდეგენი ესეთს მფოთში და წუხილში არ იქნებოდენ. რაც უნდა იყოს, ეს უკანასკნელი და სასოწარკვეთილი იერიშია რესპუბლიკასეუდ მიტანილი ვეველა მის მტერთა მიერ,

მაგრამ რესპუბლიკის დროშის ქვეშ შეკრებილ არიან უოუელნი მისნი მომხრენი, რომელნიც, იმედია დაიცვენ ჰატიუსა და მოიხავებენ გამარჯვებას (ტაშის ცემა).“

– ზარბის ოფიციალური განცხადება ამათგან, რომ ახალი არჩევანი 14 ოკტომბერს მოხდება. მთავრობას ნება აქვს რა დროსაც უნდა დანიშნოს ახალი არჩევანი, ოღონდ სამ თვეს არ გადააცილოს. კანონით შეიძლება სამ თვეს კიდევ ოცი დღე გადააცილონ, თუ მოინდომებენ. ასე რომ, 25 თებთვიდამ (როდესაც გადადგა ჰალატი) მოულოდულოდ სამი თვე და ოცი დღე სწორედ 14 ოკტომბერს შესრულდება.

მთავრობას, რასაკვირველია, შეეძლო უფრო ადრე დაენიშნა არჩევანი, და ეველან ამას მოელოდდა, მაგრამ როგორც ეტეობა უკანასკნელი ვადა დაუნიშნავს აგები როგორმე მოვასწრო და სხვა და სხვა ხერხითა ხალხი ჩემკენ გადამოვიბიროვო.

– მარშალიმაკ-მაგონისაფრანგეთის ხალხისათვის მანიფესტის გამოცემას აპირებს თურმე, რომლითაც გამოუცხადებს მთავრობის გულისწადილსა და პროგრამას.

– ბონაპარტიელთა განცხადება თითქმის უოუელ დღეს მომე ემატებათ. მაგალითებზე, ამას წინად ახალი კვირა გამოშვებითი განცხადება დაარსდა, სახელად „იმპერია“, ფასი შვიდი ფრანკია (ორ მანეთამდე) დანიშნული წელიწადში. თავის ხელის-მომწერთათვის რედაქციას საჩუქარი დაუმზადებია: იმპერატორის მემკვიდრის სურათი.

სამის თვის განმავლობაში ბევრს ამისთანაებს დაესწრება საფრანგეთის ხალხი.

ფრანგი ამათგან.— ბეტერბურლიდამ განცხადება Indépendance Belge-ს ჰსწერენ:

„უცხოეთის კურნალ-განცხადება მაინც კიდევ არ ენდება რუსეთის განზრახვას და მიდრეკილებას, თუმცა ხელმწიფე იმპერატორმა საჯაროდ სიტყვა წარმოსთქვა და თ. გარჩაყოფმაც გამოაცხადა, რომ აწინდელს ომს არა აქვს მხედველობაში არც ახალის ადგილების დაპრობა, არც სლავიანების დიდის სამეფოს დაარსება დუნაიაზედ. რუსეთს ჰსურს მკვიდრი მშვიდობიანობა დამუარდეს უოუელგან და ეველასათვის და ამ რიგი მშვიდობიანობა შეუძლებელი იქნებოდა, რუსეთს რომ ზემოხსენებული განზრახვა ჰქონდეს.

„სომხების შესახებ, რომლებსაც თითქმის ისე

ეკიდებიან როგორც ბალკანიის სლავიანებს, ამბობდნენ, რომ რუსებს მათი ქვეყნის დაპრობა უნდა იხდეთის გზის დაჭერისათვის ინგლისელების წინააღმდეგ. ეს ტუილი გამოდგა. მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ თავისუფალი სომხეთი, რომელიმე ქრისტიანე მთავრის მფლობელობის ქვეშ მყოფი, ნამდვილი წინ წადგომა იქნებოდა და დიდ სარგებლობას მოუტანდა როგორც რუსეთს, აგრეთვე ინგლისს.“

– იმავე განცხადება ბერლინიდამ იწერებიან, რომ აქ არავის არა ჰსჯერაო, რომ ვითომ ავსტრიამ რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთსაო.

ოსმალეთსაო,— ამბობს იგივე კორრესპონდენტი,— უწინდელის ომიანობების მიხედვით დიდი იმედი ჰქონდაო მისი, რომ ღონე მაქვსო მტერის მოსაგებლათაო. მაგრამ იქნება მოსტუეუდესო და საქმე ისე გაუჭირდესო, რომ უეგროპოთ მოითხოვოს მორიგება და მორიგებას ის სარგებლობაც შეჰსწიროსო, რომელსაც ევროპა ბოსფორზედ გამოეფისო.

ე. ი. ამ კორრესპონდენტის სიტყვით, ოსმალეთი იმულებული იქნება ევროპას უური არ ათხოვოს და თავისით დაუთმოს რამე რუსეთს და მით იმ სარგებლობას ბოლო მოუღოს, რომელსაც წამდა უწუძ ხელსა ჰსჭიდებენ ინგლისი, ავსტრია და სხვ.

– სტამბოლიდამ იწერებიან, რომ რაც აქ დუნაიიდან ამბავი მოდის მთავრობა მაღაფსო და ჰსცვლისო. როდესაც რუსის ჯარის დუნაიის გადასვლის ამბავი მოვიდაო, მაშინვე მინისტრების საბჭო შეიყარაო და გადაწუვიტეს ხონთქარს შევატეობინოთო და ზრიც რეისს (გერმანიის ელჩს ოსმალეთის წინაშე) ეთხოვოთო, რომ მონაწილეობა მიიღოსო და როგორმე ომი შეაყენოსო.

– ამბობენ, ვითომ ინგლისი და იტალია ეცდებიანო, რომ ერთის დიდის ბრძოლის შემდეგ მორიგება ჩამოაგდონ რუსეთისა და ოსმალეთის შორის.

– ერთი განცხადება, რომელიც ძალიან შინაური ავსტრი-ვენგრის სამინისტროსი, ამბობს რომ თუ ოსმალეები ჩერნოგორიას დაიჭერენო, მაშინ ავსტრიაც დაიწეებს თავის მოქმედობასაო. გარდა ამისაო, — ამბობს იგივე განცხადება, — ავსტრია, რომელსაც თხუთმეტი მილიონი ქვეშევრდამი სლავიანი ჰყავს, იმულებული იქნება უოუელი დონისძიება იმმაროს და მოსწოს ის უღმობელობა,

რომელმაც აღძრა მთელი ევროპა.

– იმავე გაზეთში სტამბოლიდან სწერენ:

„რუსეთის მთავრობა დაწმუნებულია, რომ გამარჯვებული გამოვა ომიდან და წინაღვე უცნალებს ევროპას თუ რა ზირობით მოურიგდება ოსმალეთს. ეს ზირობა შემდეგში მდგომარეობს: ბათუმი თავისის ნავსადგურით რუსეთს უნდა მიეცეს; ბოლგარია ბალკანიის მთების ჩრდილოეთით თავისუფალს სახელმწიფოდ უნდა იქმნას; ევროპის სახელმწიფოებმა თავის-უფალი მიმოსვლა უნდა დაადგინონ შავ-ზღვის შესავალში.

ოსმალეთს ამისთანა ზირობებისა ეურში შაშვებაც არ უნდა.“

უნდა მოგახსენოთ, რომ რა კი რუსის ჯარი დუნაის იქითა ნაზირას გადავიდა, ეხლა გაზეთები ჭორიკანობას დაიწყებენ მორიგების ჩამოვლების შესახებ, იმის მსგავსად, როგორც ომის გამოცხადებისავე უძალ მოჰყვნენ.

ამ შემოხსენებულს დეჟემასაც, ეჭვი არ არის, ხვალ თუ ზევ მეორე განამტყუნარი ამბავი მოჰყვება.

– ერთს ნემენცურს გაზეთში დაბეჭდილი აწერილი იმის შესახებ, თუ როგორი გადაწყვეტა ჰსურთ ბერლინში აღმოსავლეთის საქმისა. ამ წერილში მოხსენებულია, რომ ვიდრე დარდანელში თავისუფალი მიმოსვლა არ დაარსდება, რუსეთს ურჩევნია, რომ ბოსფორი ოსმალეთის სუსტ ხელში იყოს, და არ ინდამებსო, რომ მძლავრ ხელში ჩავარდესო. რადგანაც რუსეთს აწინდელი ომი დიდ ეკონომიურს ზარალს აძლევს და რადგანაც ინგლისი მოგებაში იქმნება მაჰმადიანობის დასუსტებისაგან, ამიტომ მათ შორის რომელიმე თანხმობა და შეკრულობა უნდა შესდგეს ოსმალეთის შემკვიდრების შესახებ.

ოსმალეთის ხალხნი ჯერ საკმაოდ განათლებულნი არ არიანო, რომ თავისუფლება მიენიჭოსო და განაწილებულნიც არიანო, ამის გამოცხადებით ევროპამ გავლენა უნდა იქონიოს მათზედაო და ეს გავლენა ავსტრიას უნდა დაეთმოსო. რუმინისა, სერბიისა და ჩერნოვოზის გარდა ოსმალეთის სახელმწიფო ავსტრიას უნდა მიეცესო, რადგანაც ამ გვარს სახელმწიფოს ერთობა არ ექმნება, ამის გამო იგი საშიში არ იქმნება მეზობელთათვისაო.

ხმა ლოკინას საფლავიდან



თუმც მკვდარი ვარ, მაინც სული შენკენ რბის, ვით-ფარვანა—თავს გეკვლება და დაგტრფის.



ეს ვინა ჰსთქვა: ეველას ბოლო ელება სიკვდილისგან, სიუვარულიც გაქრება?! მაშ მე რათ ვარ სხვებში გამოჩენული, მეც სხვებსავეთ არ ვარ მოხვეწებული! ცამ ინება სატრფოს მე განმამორა, მაგრამ ტანჯვას აქაც არ მომამორა; მიწათ ვიქეც, მაინც სული მისკენ რბის, ვით ფარვანა—თავს ეკვლება და დასტრფის.



ზეცას ვიუო, ვინდ ჯოჯოხეთს ვიწოდე, შენს სიუვარულს მე ვერ დავსთმობ, იცოდე; მე რათ მინდა სამოთხისა დიდება, თუ რომ სატრფო ჩემზედ შორსა იქნება. ვერას მიზამს ჯოჯოხეთის ქანხები, თუ ლამაზო, შენ ჩემად მეკულება ტანჯულ სული მის ღიმილსა ელოდდეს, ვით ფარვანა—თავს ეკვლოდეს, დასტრფოდეს.



ცაში ვნახე კრებით ანგელოზები, მშვენნივრები, სხივ, ფენილნი-ნანახები; მათ შვენებას თვალი ვერც კი უძლებდა, მაინც სული შენს სიტურფეს ეძებდა! რომ ვერ ვზოვე, არ ვინდომე სამოთხე, წამოვუდი ისევ ქვეყნად მოგნახე; შენმა გაზადამ, იმათ არ ედარები... მე ვისრუკვი, შენ კი არ გებრალები.



უღმობელო! ჩემთვისაც მოიცალე, ჯამი ღვინით—შესანდობლათ დაცალე; ერთი მითხარ: განისვენე სულითა, მეც მიუვარხარ ჭეშმარიტის გულითა. გამაგონე, მხოლოდ ესე სიტყვები, სორცით მკვდარი სულით ტკებლად ვიქნები. და სამოთხეს მე დავიჭერ ალაგსა, შენი სიტყვა იმდენს მომცემს ძალასა.



თუმც მკვდარი ვარ, მაინც სული შენკენ რბის ვით ფარვანა—თავს გეკვლება და დაგტრფის.

თ. ტაიბი ობბელაიანი.

ზ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი . 16 აქნისს.

ეხლანდელის ომის გამოისათ დიდი მზადება და მოძრაობაა სურამში. მთელი ერთი სამოგალოება (санитарный отряд) არის აქ მოსული და ამზადებს დაჭრილებისათვის საწოლს თავ-თავის საფენებით, იარაღებით, წამლებით, მომვლელებით და სხ. ყოველ ნაბიჯზედ თეთრფართუკიან ქალებს ნახავეთ წითელის ჯვრით მკლავზედ თუ გულზედ. ახლა უნდა ნახოთ მამაპაპურის შეხედულობის ჩვენი დედა-კაცები, რა გაოცებულნი და გაკვირვებულნი არიან იმათ ნახვაზედ. „ეს რა დღეს მოვესწარიო“, – იძახიან, „სულ უცხო ქალებმა, ისიც ყმაწვილებმა და ლამაზმა ქალებმა უნდა მოუარონ უცხო კაცებს. იქნება იმათი დები ან ბიძაშვილები იყვნენ, თორემ უცხოსი რასაკადრისია, განა ნამუს გაუტეხელი ქალი შევა მაგ საქმეში! მაგრამ ეჰ, ეხლანდელმა განათლებამ არც ნამუსი იცის და არც სირცხვილი. ვინ იცის, იქნება იმათში ეს პირველი სანამუსო საქმეც იყოს“. ახლა ჭორებს და საქმიდამ სხვა და სხვა დასკვნის გამოყვანას ბოლო არა აქვს. რასაკვირველია, ასე ორ წყალ-შუა რომ არიან, მოუყვებით თუ არა რომ სიკეთე დიდი მოაქვსთ ამ ქალებს და ძალიან საჭირონი არიან ამ საქმეში, პირჯვარს გამოისახვენ, თითქო დაკმაყოფილებიან და „დმერთო რას მოვესწარიო“, გიპასუხებენ. დღეს ჩვენც მოგვიხდა იქ ყოფნა და დათვალიერება საავათმყოფოებისა. ჯერ-ჯერობით რაც ითქმის, გარეგანი შეხედულობა კარგი აქვს, თითქმის სალდათებისა და აფიცრების საავათმყოფოები ერთმანერთში არ განირჩევიან. რადგან ბევრს დაჭრილებს მოელიან, ახალ სახლებს აშენებენ. კარვები აქვსთ დადგმული რადგან მეგი სადგომი ვერ უშოვნიათ. ემდურებიან თურმე სურამლებს, რომ ძალიან ძვირათ აფასებენ თავისს სახლებსაო; დაინახეს თუ არა რო ვეჭვირდება, ფასს მოუმატესო, მხოლოთ ერთმა აქაურმა ვაჭარმა მისცა 250 მანათათ ორი სახლი ერთის წლით. ამ ახლათ მოსულ ხალხს კიდევ მოემატა სხვა უცხო ხალხი ბერძნები, წებელდიდამ (აფხაზეთიდან) გადმოსულები. დედაბუდიანათ გამოჰქცევიან თურმე აფხაზებს, რომელთაც ძალიან ემდურებიან. სულ ერთიანად აგვიოხრეს სახლკარიო, ავეჯულობა ყოველივე წაიღეს და დაგვგოვეს უსახლკარო, მშივრებით. ერთის კვირის განმავლობაში ცარიელ ცომზედ ვიყავითო და პურის გამოცხობაც არ შეგვეძლოო. ბრძოლის დროს, ციხეში დავიმალენითო და იქაც რომ აღარ დაგვაყენეს, სასწრაფოთ გამოვეშურენით აქე-

თაო. 8000 სული ქალი და კაცი ვიყავითო და ყველანი აქეთ წამოვედით, რომ ეგება აქაურმა მთავრობამ საშველი რამ მოგვეცესო. ბევრი ჩვენგანი გზაში ავით გახდა და მომეგებულნი ქუთაისს დარჩნენ საავათმყოფოებშიო, ზოგი ახალ სენაკსა და ყველანი აქ ვაპირებთ მოსვლასაო. კოდორს რომ გამოვედით, ბევრი საქონელი დაგველუპა და მოძმეებიც დაგვკარგეთ – მომეგებულნი შიმშილისაგან დაგვეხოცა, ახლა ვართ ასე წყალ-წალებულნიო. – ისეთი სანახავენი კი იყვნენ, რომ მხოლოდ განისსამოსით თუ, თორემ იმათ ადამიანის შეხედულება აღარა ჰქონდათ: დამდნარნი, დამჭკნარნი, დაჩაგრულნი, მოძრაობის ღონეც არა ჰქონდათ იმ უბედურებს. როგორც ცხვარი გენახოთ მორეკილი, ისე იყვნენ თავ-თავიანთ ცოლშვილით წებელდაში ამ ათის წლის წინად გადავსახლდითო გრაპემონიდან, ვიყავით კარგათ და ეხლა კი ეს დღე გვადგა, ჩვენი თავისა აღარა ვიცით რაო. აქაურ მთავრობას შემწეობა უნდა ვთხოვოთ რომ უყურადღებოთ არ დაგვგოვოსო. ახლა კიდევ ისე სწრაფად მოიგონეს სურამის მეჭორეებმა, რომ ეს ბოშის ხალხი არის და ქურდობის მეგს რას იქმონენო. აქ რომ ბოშის დედა-კაცები დადიან ხოლმე და ქურდობენ, ამათაცო ისეთი შეხედულობა აქვსთ და ესენიცო მიჰყოფენ ხელს იმათ საქმესაო. მაგრამ ჯერ აღრეა ამისთანა ამრის გამოყვანა. რაკი მთავრობა შეუდგება იმათის საქმის გარჩევას და მისცემს საშველს რასმეს, იმედია რომ პირუტყულათ არ დაიწყებენ ხეგიალს როგორც ბოშის ხალხნი.

ზ. ქ.

ოსმალოს საქართველო

შ ა ვ შ ე თ ი

შავშეთი სდევს აჭარის სამხრეთ. აღმოსავლეთით აკრავს არსიანის მთა და ჩრდილოეთით აჭარის სამზღვარზე შავშეთის ანუ კარჩხალის მთას. ამიტომ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხარე ვიწრო ხეობებად არის დაყოფილი, ხოლო ვაკე ადგილი მდებარებს შუა შავშეთში, სადაც მომდინარებს სათლელის წყალი, რომელსაც ერთვიან ბევრი მთის წყლები.

მოსავალი თითქმის ისეთივე მოდის, როგორც აჭარაში; შავშეთის ფრიად მომცემ ბარში უხვად მოდის სიმინდი და ხორბალი (იფქლი), ასე რომ ამ უკანასკნელ წლებში ინგლისის სავაჭრო კამპანიაში აქედამ სიმინდი საკმაოდ ბლომად გაიტანა.

დასახლებულია ქართველების 58 სოფლით,

რომელშიაც 2000 კომლზე ანუ 14,000 სულზე მეტი მცხოვრებელია. ორიოდ სავაჭროსოფელში ვაჭრობენ ართვინელი სომხები, რიცხვით 145 კომლი. შავში ლაპარაკობს წმინდა ქართლის ენითა და ემსგავსება გამოთქმით მთიულების, ანუ უკეთ ვსთქვათ, ხევსურების გამოთქმასა. სამწუხაროდ ჩვენ და რამდენსამე სოფელში დიდ გზაზე, აზრუმსა და ოლთისის მიმავალზე თითქმის, ქართული დავიწყებით, თუმცა კი იციან რომ მამა პაპა ქართველები, ყოლიათ. ეს მიეწერება ხშირ მისვლა-მოსვლასა და ოსმალების სიახლოვესა. შეხედულობით შავშს ხევსურის ან მთიულის ვაჟკაცური სანახაობა არა აქვს. მაგრამ ამას შემდეგ მოვიხსენიებთ.

შავშეთი წარსულ დროებში დიდ შემწეობას და ვაჟკაცობას იჩენდა სპარსების და არაბების დაცემის დროს საქართველოზედ არც ერთს მტკაველ ადგილს უომრად და თავგაუწირავად არ უთმობდა მტერსა, ამის გამო ეს ვაჟკაცობა აძლიერებდა გარემო ქვეყნებსაც და საქართველოს მეფეებს წელს უმაგრებდა. მაგრამ ეს ბრძოლა დიდ მსხვერპლად დაუჯდა საქართველოსა. აშოტ კურატპალატმან (გამეფდა 885 .წ) როდესაც გარდინადა ომი არაბებთან და დამარცხებულ იქმნა, მიიქცა ჯავახეთისაკენ თაფარავანის კიდესა. აქ ეწივნეს არაბთა (სარკინოზთა) ლაშქარნი, შეებრძოლა და გაიმარჯვა აშოტ. ამას შემდეგ სიმაგრისათვის მივიდა შავშეთსა. ქართლის ცხოვრება (187 გვ.) ამბობს: „ხოლო ხევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა. რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოხრდა, ოდეს იგი ყრუმან (მურვან) ბაღდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი (731 წელს) და მოვლო შავშეთი, კლარჯეთი და დაღონი. და კვალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაოხრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედლა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ. ხოლო დაშთომილთა მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყვარულითა და დაემკვიდრა მუნ და მისცნა ღმერთმან გამარჯვება და ახელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა და რომელნიმე სოფელნი მის ქვეყანისანი მოიყიდნა საფასითა და ზოგნი ოხერნი ალაშენნა და განამრავლნა სოფლები აშოტ კურატპალატმან ქვეყანათა მათ.“ ამის შემდეგ; „ხოლო ამან აშოტ კურატპალატმან ჰპოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდეი ერთი რომელი ვახტანგ გორგასლანს ციხედ აღეშენა, სახელით ა რ ტ ა ნ უ ჯ ი, აოხრებულ იყო ბაღდადელისაგან (მურვან ყრუსაგან). იგი

განაახლა აშოტ და ალაშენა ეგრეთვე ციხედ და წინა კერძო მისსა, ქვეშეთ, ალაშენა ქალაქი და ალაშენა ციხესა მას შინა ეკკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და შეექმნა მას შინა საფლავი თვისი და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად.“

ამ მარტივის აღწერით ვხედავთ რა დიდი განსაცდელი უნდა გამოეყო შავშეთსა ჯერ აშოტის გამეფებამდე. შემდეგ ამისა ვიდრე სარკინოზის უფლება გაქრებოდა არა ერთხელ განახლებულა ბრძოლა. თამარ მეფის წინათ და შემდეგ ორასიოდე წელიწადი არც კი მოუსვენია შავშეთსა. იწყება თურქების და ქურთების შემოსევა, სპარსეთის ბრძოლა და ეს მხარე ფეხქვეშ გაქეჟილ იქმნა. დიდსა და საკვირველ მოვლინებად უნდა მოგვაჩნდეს, რომ ეს ადგილი კიდევ დასახლებულია და დაშენებული სოფლებითა საკმაოდ ხშირად.

შავშეთში და კლარჯეთში ჩნდება ბაგრატიონთა გვარი აშოტითან 885 წელს. ეს მთავარი იჭერს მთელ ქართლს იმერთა მეფის შემწეობით ქსნამდე და ტფილისში არაბთა მთავრობას ამხობს, მაგრამ არაბების უფლება ისევე მყარდება ტფილისსა და ამიტომ უკუქცეული კლარჯეთ-შავშეთშივე ბრუნდება. მაინც ეს მეცადინეობა უქმად არ იკარგება. შავშეთს აძლიერებს ბაგრატიონთა გვარი, აქვს კავშირი საბერძნეთთან, აშენებს ციხე-ეკკლესიებსა, ხელოვნება და სწავლა შემოაქვს საქართველოში. ამ მეცადინეობით შავშეთის გულიდგან იწყება საქართველოს ერთობის დადგინება და იქითგან გამოსული მეფობა მკვიდრდება ათასის წლის განმავლობაში ქართლ იმერეთში

როდესაც ერთობა საქართველოში დაირღვა და სამცხე საათაბაგო გაძლიერდა, შავშეთი ექვემდებარებოდა სამცხეს აჭარასთან და ლივანასთან ერთად და ბოლოს სრულიად დაპყრობილ იქმნა ოსმალთაგან.

აქამომდე დარჩენილა რამდენიმე გვარი ძველის თავადი-შვილებისა. პირველი იმათგანი არის ძველი ათაბაგის ჩამომავალი როსტომისა (ბექასი), რომელმაც ყველაზე პირველად მიიღო მაჰმადიანობა 1625 წელსა. ამ ჟამად სცხოვრობს ამის შთამომავალი მარტო ერთათ ერთი ბეგი მეშვიდე თაობისა 40 წლისა, ქარაფ-შუტა ღარიბი და პენციით მცხოვრები სოფელს ოქრობადეთს. ერთ დროს ეს გვარი ძლიერი გვარი იყო შავშეთში, უკანასკნელ დროს გაღარიბდა და იმის მაგიერათ აქაც ხიმშიაშვილი შეიქმნა პირველ ბეგად,

როგორც აჭარაში. ამას გარდა არიან იმერხევის ბეგები. ხიმშიაშვილის გვარეულობამ ათაბაგის და იმერ-ხევის ბეგების მამულები იყიდა და ამგვარად უპირატესობა მოიპოვა. ხიმშიაშვილებში ამ ჟამად სცხოვრებენ სოფ. სათლელს: სელიმ-ბეგ და ნური-ბეგ — შვილები აბდი-ბეგისა და ბიძაშვილები შარიფ-ბეგის აჭარელისა. არის გვარი ავალიშვილებისა ძველს სოფელს ანჩას, რომელიც ერთ დროს საეპისკოპოზო ყოფილა და საიდაამაც გადმოსვენებულია ტფილისს ანჩის ხატის-პირი ღვთისა. იმერ-ხევის ბეგები სცხოვრებენ ველას.

ამ ოცდა ათის წლის წინა დრომდე შავშეთში დარჩენილნი იყვნენ 90 კომლამდე აზნაურ-შვილები. ამათ უფლება ჰქონდათ ყმები ჰყოლოდათ და ომიანობის დროს ბეგს უნდა მსახურებოდნენ, ისე როგორც ძველათ ჩვენშიაც იყო. ბეგები თავადიშვილებსავით მათზე ბძანებლობდნენ.

როდესაც ოსმალოს მმართველობამ თენზიმათი გამოაცხადა, რომ ყოველი ქვეშევრდომი ხვანთქრისა თანაბრათ მოხარკენი არიანო, ამ დროდამ მოისპო აზნაურთა უფლება. ბეგებს პენცია მიეცათ და აზნაურნი გათანასწორდნენ გლეხებთან. თენზიმათის წინათ გლეხი კაცი ხდილობდა ბეგების სასარგებლო მხოლოდ მეხუთედს ნაწილს მამულის მოსავლისას.

ამ ჟამად შავშეთი აძლევს ხაზინას დიდს გადასახადს. გადასახადს აგროვებს მოიჯარადრე. მოიჯარადრები დადიან სოფლებში იმისთანა დროსა, როდესაც ხალხს ხელში ფული არა აქვს. ამის გამო მოიჯარადრე, რასაკვირველია, უმატებს ხარჯსა და ამ გვართ ხარჯი ძალიან დიდდება. წელიწადში შავშეთიდან სახელმწიფოთ ხაზინაში უნდა შევიდეს ათას ხუთას თუმნამდის, მაგრამ მოიჯარადრების უსინიდილობით ეს ხარჯი ერთი ორად ერთმევა ხალხსა. ამ ხარჯს გარდა ყოველის ხეხილის ძირზე ორი ყურუშია და ტყის ხარჯად ფასის ათის თავი ერთმევა. შავშეთის ზოგ სოფლებში სომხები ქრისტიანები (ფრანგები) სცხოვრებენ, რომელნიც სალდათის მაგიერად ფულს (ბედელს) იხდიან. აქაური სომეხნი, როგორც ამბობენ ქალაქშიაც მოიპოვებიათ ხანდისხან მეფურნეებთა შორის.

შავში რომ შეგხვდეთ, ძნელათ დაიჯერებთ ეს იმ მამაცი და გმირის შავშის ჩამომავალი იყოს, რომელმაც არა ერთხელ საქართველო დაიხსნა. შავში ისეთი მშობარია, რომ მისი მხდალობა და ფრთხალობა აჭარლებში ანდაზათ არის.

აი როგორ მოიხსენებს ავტორი „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში“.

„შავშეთის სოფელ ყვირილას რომ მივედით, ვაგვაკვირვა აქაურის მცხოვრების შეხედულებამა: საცოდაობის სახე ედვათ. ვაჟ-კაცურის ეირისა ერთიც ვერა ვნახეთ, სულ ძონძებში არიან გამოხვეულნი, მწუხარენი და დაგვალულის ტანისანი. ეტყობათ რომ თავ-ჩაკრულნი, გათელილნი და ღარიბნი არიან.... მაგრამ საერთოდ შავშებზე ამას კი ვერ ვიტყვით, თუმცა ყოველგან ეტყობა, რომ დაჩაგრულია და ღონე წართმეული. სახით უფრო ქართველის სილამაზე იმერ ხევის მცხოვრებლებს შერჩენიათ. ტანისამოსი აჭარლებისა აცვიათ. შავშების ფრთხალობა მაშინ გამოჩნდა, როდესაც ამ ათითორმეტის წლის წინად ოსმალოს მმართველობამ მოიწადინა თოფ-იარაღის ჩამორთმევა. ხვანთქრის ბძანება მთელ ოსმალოს საქართველოში მარტო შავშებმა აღასრულეს. აჭარლებმა, ჭანებმა და მაჭახლელებმა უარი სთქვეს და იარაღი შერჩათ. ახლა ხვანთქრის მთავრობა აღარც კი ფიქრობს იარაღის ჩამორთმევის გახსენებასა. მხოლოდ შავშები უხანჯლოთ და უდაბანჩოთ დარჩენილები აჭარლების და მაჭახლელების თავჩასაკრავნი გამხდარან და მოსვენება აღარა აქვთ...მაგ. ერთი მაჭახლელი იმერხევის სოფელს სურევანს ჩაუდგა ერთს შავშს სახლში, თვით მასპინძელი შინათგან გამოავდო, იმის ახალგაზრდა ცოლს მოუჭდა და სამი თვე მთელ სოფელს ხარჯი დაადგა და ამით ცხოვრებდა. იმის ოხტიდგან ვერც ხალხი მოვიდა და ვერც მუდირი (უჩასტკის ნაჩალნიკი)... სომხები შავშეთში უფრო ცუდს მდგომარეობაში არიან. იმათ სცარცვენ თვით შავშები“. ისე გაბეზრებულან სომხები რომ ზოგნი ბათუმს აპირებენ გადასახლებას, ზოგნი ახალციხეს.

მაინც კი უნდა მოვიხსენოთ, რომ როდესაც 1844 წ. ოსმალოს საქართველოში თენზიმათი გამოცხადდა აჭარასთან, ჭანეთთან, ლივანასთან და ქობულეთთან შავშეთიც ადგა. ამ საგანზე შავშები აი რას ლაპარაკობენ:

„რუსეთის მტრებმა 1844 წ. სტამბოლში საქმე ისე მოაგვარეს რომ ახალციხეში არეულობა მოახდინონ და ამით დაღისტანიდან რუსეთის ჯარის ყურადღება აქეთ მოაქციონ. იმ დროს დაღისტანში შამილი აპირებდა საერთოთ ხალხის აყენებასა რუსეთის წინააღმდეგ. შამილს ოსმალოს მმართველობასთან საიდუმლო ერთობა ჰქონდა და ოსმალოს საქართველოში კაცები ვაგზავნა ახალციხეზე ომის საქადაგებლად. მოქადაგეთ ჰქონდათ ხვანთქრის ფარმანი და პირველად ბეგებთან მივიდნენ, რადგანაც

იცოდნენ რომ უბეგებოთ ხალხს ვერ ააყენებდნენ. ბეგებმა ისარგებლეს ამ შემთხვევითა და ვითომც ახალციხის ასაღებად მივდივართო, ათი ათი ათასი მსროლელი შეჰყარეს.

„ამ მოძრაობის მოთაველ შეიქმნა იმ დროს ბეგებში უძლიერესის აბღი-ბეგის შვილი სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი. ეს იმ დროს თხუთმეტის წლის ყმაწვილი ბიჭი იყო (ეხლა არის ორმოცდა რვა-ცხრა წლისა). თუმცა ასეთი ყმაწვილი იყო, მაგრამ ამოიჩინეს სარდლათა. ამის მოწვევით მოსქდა ხალხი აჭარბდამ, ქობულეთიდან, ერუშეთიდან და ლივანიდან. ხალხმა არ იცოდა რა ამბავია, მხოლოდ გამოუტყბადეს, რომ რუსებზე მივდივართო. ნამდვილათ კი ბეგებს ამ ხალხის შემწეობით არეულობის მოხდენა სურდათ რომ თენზიმათი მოემლევინებინათ ოსმალს მმართველობისათვის.

„სელიმ-ბეგმა საქმე იმითი დაიწყო, რომ შავშეთიდან ერუშეთს (ფოცხოვს) გადავიდა და იქაური ფაშა დაატყვევა. მერმე სულიმ-ბეგის ჯარი აზრუმზე და ტრაპიზონზე აპირებდა წასვლასა, მაგრამ რა კი ჯარი შეიყარა, აღმოჩნდა რომ არც თოფ-იარაღი აქვთ და არც თოფის წამალი. ხოლო აზრუმის და ტრაპიზონის საფაშოების ხალხის იმედი ჰქონდათ, რადგანაც ისინიც შეწუხებულნი იყვნენ. ამ გვარათ უნდოდათ ხალხი აეჯანყებინათ და ღონე მიხდილ მმართველობისათვის რაც უნდოდათ, ის პირობა დაედებინებინათ.“

რადგან ბეგებს კარგა ნათლათ არ ესმოდათ რა უნდა მოითხოვონ და რა როგორ გაარიგონ, ამის გამო ერთმანერთში უთანხმოება მოუვიდათ. ამ შემთხვევით ყარსის ფაშამ ისარგებლა და მოლაპარაკებით დამორჩილდნენ ოსმალს ჯარსა, რომელიც ბეგების წინააღმდეგ საომრად გამოსულიყვნენ. სელიმ-ბეგმა რომ ველარა გააწყო რა, სამასის კაცი დაბრუნდა და ბათუმზე დაცემა განიზრახა. მაგრამ აქ რაოდენისამე მოლაპარაკების შემდეგ დამორჩილდა და ტრაპიზონს წავიდა. იქიდან სტამბოლს გაგზავნეს და ცოტაოდენად დასაჯეს.

აი ამ გვარად როგორც აჭარაში, აგრეთვე შავშეთშიაცა ჩანს დიდი გავლენა ხალხზე ბეგებისა და მათგან უმეტესად ხიმშიაშვილების გვარისა.

ჩვენდა ნუგეშად ეს არის რომ შავშები თავის თავს ქართველებად აღიარებენ, ყველამ იცის და ახსოვთ, რომ ძალადობით გაუმაჰმადიანებიათ და მოუგლეჯიათ საქართველოსაგან. სადაც ძველი ეკლესიებია, პატივისა სცემენ და სანთლები მოაქვთ დასანთებათა. ამბობენ რომ დედაკაცებში

დღესაც საიდუმლოდ ქრისტიანობა დარჩენილა. ამისთანა მშვიდს ქვეყანაში კარგ გონივრულად მომქმედ კაცს ბეგის სარგებლობის მოტანა შეეძლო. აქამომდე თითო-ოროლა ბეგები ჩნდებიან, რომელნიც ოჯახობას და მეურნეობას შესდგომიან და ოსმალურის წესებით და სახელმძღვანელო წიგნებით მართვენ თავის მამულსა.

დარჩენილა თუ არა ქართული წერა-კითხვის ცოდა, ან წიგნები არ ვიცით. იქნება ქრისტიანთა სომეხ-კათოლიკეთ ეკლესიებში დარჩენილიყოს სამღვთო ან საერო წიგნები. მხოლოდ გავგიგონია, რომ ვითომ ამ ორმოცდაათის-ხუთმეტის წლის წინათ არტანუჯიდან აქ ვილაცას მოეტანოს ძველი ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსანი.

ძველი ეკლესიების ნანგრევები მრავალია შავშეთში და იმათში შესანიშნავია ჯერაც მრთელი ტბეთის ეკლესია სოფელ ტბეთში, რომელიც სამუდრო ბინასთან სოფ. ციხის ძირთან (ეს ქობულეთისა არ გეგონოთ) ნახევარ საათის სავალზეა. აქ არ არის მეტი ამისი აღწერა მოვიტანოთ შემოხსენებულ თხზულებიდან „სამი თვე ოსმალს საქართველოში“. საკმაოა მოვიხსენოთ იქიდან რომე „ტბეთის ეკლესიას შეუძლიან დაამშვენოს თვით რომი, რომელიც გამთქმულია ქვეყანაზე ძველის ეკლესიებით...“ ტბეთის ეკლესია უფრო დიდს და მშვენიერ გრძობას აღძრავს კაცში, ვიდრე სვეტიცხოველის ეკლესია თავისის შინაგანის და გარეგანის მშვენიერებით. აღმოსავლეთის მხარეს ზედ წარწერა დაშთენილია; აგრეთვე თვით ეკლესიაში მხატვრობა ისეთია, რომ გვიჩვენებს ფრიად მაღალ ხელოვნებას იმ დროებისას. აშენებულია აშოტ კურატპალატისაგან 918 წელს. ხალხი ლაპარაკობს რომ ამ ეკლესიის ასაშენებელი წითელი ქვა ოცის ვერსის სიშორიდან უჭრიათ და იქიდან ხალხი იდგა მწკრივად და ხელდახელ აწოდებდა ერთმანერთს საყდართან დასადებლად. ამ გვარს ამბავს ლაპარაკობენ კიდევ სხვა ეკლესიების აშენებაზედაც ოსმალს საქართველოში.“

ამის შემდეგ არის კიდევ სხვა ეკლესია შესანიშნავი სინგოტს იმერ-ხევის შესავალთან, აქვე ძველი ნანგრევები ციხე-შენობებისა მრავალია.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ხალხს დიდი პატივისცემა აქვს ამ შენობებისა, მიდის ზოგიერთ დღესასწაულებში და მიაქვთ სამღვთოდ მამალი ან წმინდა სანთელი. ზოგიერთ ძველ ეკლესიების ნანგრევებზედ სომეხ-კათოლიკებს აუშენებიათ ახალი ეკლესიები, რომელშიაც მუდამ წირვა ლოცვას იხდიან.

პ. უ.

მოლაპატე-გაფი

მას სახელად ერქვა სტენნი, ჰატარა სტენნი. იგი იყო ნამდვილი ბაშვი ჰარიჟისა, სუსტი და ფერ-მკრთალი. თვალად ათისა თუ ხუთმეტის წლის ემაწვილსა ჰკვანდა. იგი იყო იმისთანა ბაშვი, რომლის ხანიერების ნამდვილად გამოცნობა მნელია და თითქმის შეუძლებელიცა. მას დედა აღარა ჰკვანდა. მამა მისი კი—მეფელი ჰარის-კაცი ზღვის მხედრობისა— გუშაგად ედგა ქალაქის ბაღსა ტრამპლის უბანში. ჰატარა ბაშვები, გამდლები, ბებერნი დედა-კაცნი დასაკეცის სკამებითა, მშრომელნი ღარიბნი დედანი,— მთელი ეს ჰარიჟი ქვევითად მავალის ხალხისა, რომელიც ამ ბაღის ხეხანარში თავს მოიყრიდა ხოლმე,— სულ ეველანი იცნობდნენ სტენნის მამასა და ეველას ამათ უეგარდათ კიდევ. ეველამ კარგად იცოდა, რომ ამ ბაღან-ამეგებულ უღვამებ ქვეშ მიმალულია კეთილი, ალერსიანი და თითქმის დედობრივი ღიმილი და იმ ღიმილის მოსავლინებლად სამეოფი იყო ეკითხნა ვისმე ბერეკაცისათვის:

— თქვენი ჰატარა შვილი ხომ კარგად არის?

მოხუცებულს სტენნს ძალიან უეგარდა თავისი ჰატარა ბაშვი და დიდად ესიამოვნებოდა ხოლმე, როცა მისი ჰატარა სტენნი საღამომით, სწავლას რომ მორჩებოდა, გამოუვლიდა და ორივე ერთად გასწევდნენ ხეხანარებში სასეირნოდ, ეოველს სკამთან შედგებოდნენ, მოკითხავდნენ ჩვეულებრივთა მოსეირნეთა და მათგანაც ჰასუსად მიიღებდნენ ხოლმე მოკითხვასა და საღამოს.

საუბედუროდ, როცა ჰარიჟს მტერმა ალყა შემოარტყა, უმაღლე ეოველის ფერი შეიცვალა. ბალი მოხუცებულის სტენნისა დაკეტეს, ჰეტროლიის შესანახავ ადვილად განადგეს და ისევე საწვალა ბერეკაცი სტენნი ეარაულად მიუხინეს. იგი დაუძინებლივ უვლიდა ბაღსა და დილიდამ საღამომდე დადიოდა დაცარილებულს ხეხანარშია, მარტო-მარტო ასე რომ ჩიბუხის წვევის ნებაც არა ჰქონდა,— და თავის შვილსაც მხოლოდ შინ ღამითღა ხედავდა ხოლმე. მაგრამ უნდა გენახათ რა რიგად აებურმეგებოდა ხოლმე უღვამები, როცა იგი ჰრუსიელებს შედ დაიწყობდა ლაჰარაკსა!...

ჰატარა სტენნი კი ბევრს არას უჩიოდა თავის ახალს ცხოვრებასა.

მტრის გარს-შემოდგომა! — ეს ასეთი გულის განსართობი რამ არის ბავშვთათვის. ამ დროს სასწავლებელნი გაუქმებულნი არიან: მამასა დამე სწავლაც აღარ არის!... ეოველ დღე უქმეა,— და თვით ქუჩებს შედ იმოდენა ხალხია თითქო ბაზრობის მოედანიცა... ჰატარა ბაშვი დარბოდა დილიდამ საღამომდე ქალაქის ქუჩებში.

როცა ჰარი დაიძროდა და მტერს შედ დასასხმელად

გასწევდა, ჰატარა სტენნი უკან აედევნებოდა ხოლმე და ამ შემთხვევაში უფრო იმ ჰარის გუნდს აჰყუებოდა, რომელსაც უკეთესი საკრავი (მუსიკა) ჰქონდა. რომელს ჰარს რა გვარი საკრავი აქვს— ეს ჰატარა სტენნმა შედ მიწვევით იცოდა კიდევ. იგი გიამბობდათ, რომ საკრავი 96-ის გუნდისა სრულიად არ ვარგა, მაგრამ 56-ის გუნდისა კი ჩინებულია. ზოგჯერ როცა ჰარს ასწავლიდნენ და ავარჯიშებდნენ იმის საეურებლად წავიდოდა ხოლმე. ზოგჯერ ილიაში კალათა ამოჩრილი ჰატარა სტენნი აჰყუებოდა ხოლმე იმ აუარებელს ხალხსა, რომელიც დილაობით ზამთრის ბურუსიანს დღეს ეასებობსა და მეჭურვებისაკენ მიდიოდნენ. იქ წუმწეში მდგარნი ჰატარა ბიჭები ერთმანეთს გაიცნობდნენ ხოლმე, ლაჰარაკობდნენ პოლიტიკაზე და ჰატარა სტენსა, ვითარცა ეველასაგან ცნობილის სტენნის შვილსა, ჰკითხავდნენ, შენ როგორღა ფიქრობო.

გარნა ეველას შედ უფრო მომეტებული განსართობი ჰატარა ბიჭებისა „გალომის“ თამაშობა იყო. ეგ სახელ-გათქმული თამაშობა ბრეტონის ჰარმა შემოიღო მტრის ალყის შემორტყმის დროსა. როდესაც ჰატარა სტენნი არც ჰარის საეურებლად იყო თხრილს შედ, არც მეჭურვებთანა, მამინ უეჭველად კაცი იწავიდა მას „გალომის“ მოთამაშეთა შორის მატოდოს მოედანს შედ. ამას თქმა აღარ უნდა რომ ის თვითონ არ თამაშობდა: „გალომის“. თამაშობას ფული უნდა და ამას ფული არ ჰქონდა. ის იმითიც ემაეოფილი იყო, რომ უეურებდა თავის ტოლ-ამხანაგთა თამაშობასა. ერთი მოთამაშეთაგანი მალალი ლურჯ ბლუსიანი სულ ხუთ ფრანკიანს*) ჩამოდიოდა და ამან სრულიად მიიწიდა ჰატარა სტენნის ეურადღება, ასე რომ თვალს აღარ ამორებდა. როცა ეს მალალი ბიჭი გარბოდა, ფულს იმის ჯიბეში ჩხარუნე გაჰქონდა. ერთხელ იმ მალალ ბიჭს ფული გამოუგორდა და ჰატარა სტენნის ფეხთა წინ დადგა. როცა მალალი ბიჭი ასაღებად დასწვდა, მამინ სტენნს წაჰჩურჩულა: „— ეჰე, შენ როგორღაც ნერწევი მოგდის ამ ფულის დანახვაზე... მამ თუ ეგრე გულისთ გინდა, მე გასწავლი შენ ადგილს, სადა ამისთანა ფულის მოვნა ბლომად შეიძლება...“

როცა თამაშობდა გათავდა, მამინ მალალმა ბიჭმა გაიფენა განსეუდ სტენნი და უთხრა რომ წავიდეთ და ჰრუსიელებს გაზეთები მიუტანოთო განსასვიდლად, თვითო მისვლასე 30-ს ფრანკს იძლევიანო. ამ გვარმა რჩევამ ისე აამოფოთა სტენნი, რომ მთელი სამი დღე აღარ მიჰკარებია მოთამაშეებს. ეს დღეები სულ ტანჯვაში გაატარა!... ევლარც ჰამა შესაძლო და ევლარც ძილი. მას ღამით ელანდებოდა სულ „გალომის“ თამაში და ხუთ

*) ხუთ ფრანკიანი — მანეთი და ხუთმარკიანი. ეგრესლის ფულზე.

ფრანკიანი ფულები, რომელნიც ბრწინვალე ზოლად გამწკვრივებულნი იყვნენ მის საწოლის ტანტის ქვეშე. მანდურება ისეთი დიდი იყო, რომ იგი მეორეს დღეს ადგა და წავიდა შატო-დოს. ნახა თავისი ამხანაგი და დაემორჩილა მის ცდენასა.

თოვლიანი დილა იყო, როდესაც ისინი გზას შეუდგნენ. ბარგად ჰქონდათ ზურგზედ წამოკიდებული სხვლის ტილოს ზარკები და განეთები, ბლუზების ქვეშ დამალულნი. ფლანდრიის ჭიის კართან მივიდნენ თუ არა, ვარაუაჟდა კიდევაც. ჭიის კართან იდგა ეარაულად ერთი ვაჟკაცი ბერი-კაცი, რომელსაც ცხვირი წითლად უღვიოდა და სანახაობა კეთილის კაცისა ჰქონდა. მალაღმა ბიჭმა მოჰკიდახელი სტენსსა, მიიყვანა ეარაულთან და მუდარების ხმით, როგორც მთხოვარმა, უთხრა:

— ჩემო კეთილო ბერო-კაცი, ნება გვიბოძეთ გავიაროთ.... დედა ჩვენი სნეულია, მამაც აღარა გვყავს. მე და ეს ჩემი ზატარა ძმა მინდვრად მივდივართ, ეგება თითო ოროლა კარტოფილი ვიზოვით სადმე და მოვაგროვოთ

მალაღმა ბიჭმა ცრემლებიც კი გადმოყარა, გარსა სტენსმა კი სირცხვილით თავი ჩაღუნა. ეარაულმა ჯერ ამით დააკვირვა თვალი, მერე განხედა თეთრად განზიდულს გზასა, ბოლოს გზა მიჰსცა და უთხრა:

— გაიარეთ ჩქარა.

ბაღლები ობერვილის გზაზედ გავიდნენ. მალაღმა ბიჭი სიცილს მოჰყვა.

ბუნდად, როგორც სიხმარში, ზატარა სტენნი ხედავდა ქარხანებს, ჯარის სადგომად გადაკეთებულთ თავდანებებულთ სანგლებსა, რომელსედაც მონძები იყო გადმოკიდებული და ბუხრის თავები მალაღმა აწოწვილნი, თითქო დილის ზრქელი ბურუსი უნდოდანთ გაეზოთ და ცაში ასულიყვნენ. ხანდისხან ზატარა ბიჭებს წინ შეხვდებოდნენ ხოლმე ეარაულები და აფიცრები, ფარაჯებში განხეულნი, რომელნიც ვარეშემოსა მინჯავდნენ დურბინდითა. იქ კანტი კუნტად მოხანდნენ კარვები რომელსედაც ზრქლად იდო თოვლი, ჯარის-კაცთა ცეცხლებისაგან მოლხობილი. მალაღმა ბიჭმა გზა იცოდა და ისე მიდიოდა მინდვრებზედ, რომ წინა ეარაულებს ასცდებოდა. თუმცა ამის გამო შორს მოუარეს, მაგრამ მინც ზედ წააწვდნენ ერთს გუნდს ჯარსა, რომელიც თხრილში იყო ჩასაფრებული. ამ ხელად კი მალაღს ბიჭს ტუუილ უბრალოდ ჩაუარა თავისმა ჩვეულებრივმა კნავილით ვერებამა: ჯარის კაცთ არ უნდოდანთ ამათი გამძება. ხოლო მამინ, როცა მალაღმა ბიჭმა ტირილი დაიწყო, საეარაულოდამ გამოვიდა ერთი ჭადარა მორეული ბერი-კაცი; სიბერისაგან მთელი სახე შეჰჭმუჭნოდა და სტენნის მამას მალაღანა ჰგვანდა. იგი სერჟანტი იყო.

— „აი, თქვე კიჭკინებო, ნულარ ტირით! უთხრა მან

ბაშვებსა,—, „ნუ გეშინიანთ! თქვენ გაგიშვებენ თქვენი კარტოფილი მოაგროვოთ. ჯერ კი აქ შემოდით და ზატარა გათბით. აი ეს ბაღლი ლამის სიცოცხისაგან გამეშდეს!“

ეჭა! ზატარა სტენნი თრთოდა, მაგრამ სიცოცხისაგან კი არა: იგი თრთოდა შიშისა და სირცხვილისაგან....

საეარაულად იმათ ნახეს რამდენიმე ჯარის-კაცი, რომელნიც გარს შემოსხდომოდნენ ცეცხლსა, და თოფის შებებზედ აგებულს გაეინულს ზურს ათობდნენ. რაკი ბაშვები დაინახეს, მისი განხე გაიწიეს და ალაგი დაუთმეს. მერე ეავაც უთავაჟეს. როცა ბაღლები ეავასა სვამდნენ, მამინ კარებში მოდგა აფიცერი, გაიხმო სერჟანტი, რალაცა წაჰხურხულა და სისწრაფით უკანვე გაბრუნდა.

— ემაწვილებო,—ჰსთქვა უკან შემობრუნებულმა სერჟანტმა მხიარულის სახითა....ამალამ ცხარე საქმე გვექნება....ჩვენ შეუტეეთ ზრუსიელებს საიდუმლო ნიშანი. რომლითაც მათს წინა ეარაულებს შევეზარებით. მე მკონია, რომ ამალამ მინც წავართმევთ იმ წვეულს ბურჟესა.“ ამის თქმაზედ ასტედა ერთი ხმაურობა და მხიარულება. მოჰყვნენ თამაშობას და სიმღერას, და თოფის შუბებსაც ღვსვა დაუწიეს. ზატარა ბიჭებმა კი ამ ხმაურობაში და არეულობაში დრო ინელთეს და ერთს წუთზედ გამოიზარნენ. თხრილს იქით ვაკიანი იყო და ვაკიანის შუა გულს თეთრი კედელი სათოფეებითა და საწარბაზნოებითა მოხანდა. ზატარა ბიჭების გზა იმ კედლის ზირას მიდიოდა. დრო გამოშვებით ზატარა ბიჭები დადგებოდნენ ხოლმე იმ სახედ, თითქო მართლად კარტოფილს ჰგლეჯენ, რომ ეჭვი არ ააღებინონ.

— „დავბრუნდეთ უკან, ნულარ წავალთ იქ,“ ამბობდა ზატარა სტენნი. ზასუხად ამხანაგმა მარტო მხრები აიწია, და გასწია. სტენნიც ისევ თან გაჰყვა. უეცრად მოესმათ, რომ იქ სადღაც ახლო თოფებსა სტენავენ.

— „მიწაზედ წაწეე,“ უთხრა მალაღმა და თვითანც გაერთხო მიწას.

იგი წაწვა მიწაზედ თუ არა, დაუშტვინა. ზასუხად ამასაც დაუშტვინეს. მერე ცოცვიც წავიდნენ წინ თოვლ და თოვლ. კედლის წინ მიწის სისწრაფე გამოჩნდა ჯერ ვვითელი, ჯავარსავით უღვაშები და მერე გაქონილი ქუდი.

მალაღმა ბიჭი მსწრაფლ გადახტა თხრილზედ და ზრუსიელს გვერდთ ამოუღვა.

— „ეს ჩემი ზატარა ძმა“, უთხრა მან ზრუსიელს და დაანახვა სტენნი.

სტენნი ასეთი ზატარა რამ იყო, რომ ზრუსიელმა დაინახა თუ არა, სიცილი აუტედა. კედელს იქით გადასაუვანად თვითონ ზრუსიელმა ხელში აიყვანა სტენნი და ისე გადაიყვანა.

კედლის იქითა მხარეს დიდი თხრილები გაკეთებიათ, დიდრონი ხეები დაეყარათ და თოვლში

ამოთხრილის სვრელებიდან ამოეკოთ თავი ისევ იმ ევითელს ჯაგარსავით უღვაშებსა და გაქონილს ქულებსა. ზრუსსიელები იცინოდნენ ამ ბაღლებს რომ ხედავდნენ. ცოტა იქით იყო მებაღის სადგომი დიდროს ხეებ ქვეშ. მის ქვემო – სართულში ჯარისკაცნი იყვნენ, ქაღალდს თამაშობდნენ და მხიარულად განაღებულს ცეცხლზედ წვნიანს რაღაცას ხარშავდნენ. ქვაბიდან კაი სუნი მოდიოდა კომბოსტოსი და ღორის ქონისა. ზრუსსიელთა სადგური ბევრად ჰსჯობდა იმ ფრანციელთა გუნდის სადგურს, რომელსაც ზატარა ბაღლები გზაზედ წააწოდნენ!

ხეშო სართულში აფიცრობა იდგა. იქიდან ფორტეპიანოს სმა ისმოდა და შამპანიის ღვინის ზროპის ცემა. ეს ზარიელები ბაშეები რომ დანახეს, მხიარულების ურამ დაიგრიალა და როდესაც ბაშეებმა გახეთები გადაჰსცეს, აფიცრობმა ღვინო უთავაზეს, და მერე ეოველისფერი აამბობინეს. იქა მყოფს აფიცრობს თუქდა მრისხანე და ამაყი სახის მეტყველება ჰქონდათ, მაგრამ მაღალის ბიჭის ქუჩური მასხარობა და სასაცილო კილო იმათაც სიცილს მოჰკვირიდა ხოლმე. ისინი იცინოდნენ, იმეორებდნენ რა მის ნათქვამსა, და აღტაცებით ჰკუწავლობდნენ იმ ზარიეის ღაფში, რომელიც ბაშეებს მოაქვდათ ხოლმე ახალის ამბების სახელითა. ზატარა სტენსსაც უნდა ელაშარებინა რამ და ამით დაემტკიცებინა მათვის, რომ არც მევარ სულელიო, მაგრამ მას თითქო რაღაცა უბამდა ენას. მის წინ ერთი ზრუსსიელი იდგა, სხვებზედ უფროსი და საქმიანი. მას ხელთ ეჭირა გახეთი და განკებ ახვეებდა ვითომ, ვკითხულობო, ნამდვილად კი თვალი სტენსისაკენ ეჭირა და არ ამორებდა. მის თვალებში გამოჰკროთოდა გულმტკივნეულობა და საუვედური. მას იქნება თვალწინ წარმოუდგა თვისი სტენსისავით ზატარა შვილი, რომელიც შორს, თავის ქვეყანაში დაეტოვებინა, და იქნება გულში ამბობდა:

– „მე სიკვდილი მიჩვენებია, ვიდრე ჩემის შვილის ნახვა ამ საძაგელს ხელობაში.“

ამ წუთიდან სტენსმა იგრძნო, რომ მის გული შეკუმშა ვიღაცის მძიმე ხელმა და ფეთქა შეუწვევტა.

რომ ეს საგრძნობელი როგორმე მიეგრეებინა, ღვინოს დაუწყო სმა. მალე აერია ეოველისფერი თვალთა წინაშე. თითქო ძილში მოესმა, რომ მისი ამხანაგი დაჰსცინოდა ფრანციელთ საერო გვარდიასა, მათ ვარჯიშობასა, მათ თოფ-იარაღსა და მოკმახულობასა და ეოველს ამაზედ მსმენელნი მაღალის სმით ხარხარებდნენ. ამის მერმედ მისმა ამხანაგმა უეცრად სმა დაიღაბლა, აფიცრობი მიუახლოვდნენ, სიცილს თავი დაანებეს და სმენად გადაქცნენ. იმ საძაგელს უნდოდა ის ეცნობებინა, რომ ფრანციელთა ჯარს მათი ნიშანი შეუტყვია და ამაღამ დაცემას უპირობენ....

აქ ზატარა სტენსი შეკროთა და გააფთრდა.
– „ნუ იტყვი, ნუ!... დაუძახა მან ამხანაგსა: მაგის თქმა არ იქნება... მე არ მინდა, არა...“

ამხანაგმა სასაცილოდ აიგლო სტენსი და ზრუსსიელებს ეველაფერი უამბო. გაათავა თუ არა, აფიცრობი წამოდგნენ და ერთმა მათგანმა გაიშვირა თითი კარებისკენ და უთხრა ბავშვებს:

„– გადით, დაიკარგებით!“

აფიცრობმა მაშინვე სხანა-სხუხით დაიწვეს ნემენცურად ლაშარაკი. მაღალი ბიჭი ამაყად გამოვიდა გარედ და ხელში ფულს აჩხარუნებდა; სტენსი კი უკან მოჰსდევდა თავ-ხაკიდული. გვერთ გაუარა თუ არა სტენსმა იმ ზრუსსიელს, რომლის ეურებამაც წელან ისე შეაწუხა, მოესმა დაღონებული სმა, რომელიც სტენსს ეუბნებოდა:

– „ეგ კარგი არ არის, არა...“ სტენსს თვალში ცრემლი მოერია.

ვაკეხედ რომ გავიდნენ, სულ სირბილით წავიდნენ, და მალე მივიდნენ სათავისოსა. ზარკი კარტოფილითა მათ თავისუფლად გაიარეს საყარაულოები. ფრანციელნი ემზადებოდნენ ღამით დასაცემად. ჯარი ჩუქად მიდიოდა და კედლებს იქით იკრიბებოდა. ბებური სერჟანტიც იქ იყო, ჯარის კაცებს თავ-თავის ადგილს აევენებდა და სინარულით არ იცოდა რა ექმნა. როცა ბაშემა წინ გაუარეს კეთილად გაუღიმა...

ვაი, ამ ღიმილმა რამოდენი ტანჯვა და მწუხარება მიაყენა ზატარა სტენსსა. მას უნდოდა დაევირნა ჯარისათვის: იქ ნუ წახვალთ! ჩვენ გაგვიდეთ.... ჩვენ გაგვცით... მაგრამ ამხანაგმა უთხრა:

– „თუ წამორომამ რასმეს, თოფით დაგვხრეტენ.“ სტენსი შიშმა შეაყენა.

კურნევი ისინი შევიდნენ რაღაც უზატრონო სახლში და იქ გაიევეს ფულები.

ეს კი უნდა აღვიაროთ, რომ ზატროსურად და სისწორით გაიევეს. და როდესაც ზატარა სტენსს მოესმა ფულის ჩხარუნი ჯიბიდან და წარმოუდგა, რომ ესეა „გალამის“ თამაში შეუძლიან, მაშინ მას თვისი დანაშაული უწინდელს სახაროდ აღარ მიანდა. ხოლო როცა მაღალი ბიჭი თავის გზაზედ წავიდა და სტენსი მარტო დარჩა, მაშინ ჯიბეები თითქო დაუმძიმდა და ის ხელი, რომელმაც წინად შეუკუმშა გული, თითქო ესეა უწინდელზედ უფრო მაგრამ სულს უხუთავსო. თვითონ ზარიეც ზარიად აღარ ეჩვენა. ვინც კი ქუჩაში მიმავალი ნახა, ეგონა რომ ეველა მრისხანებით უეურებს, თითქო შეეტყო თ საიღამაც მოდიოდა. სიტყვა „მოლაღატე“ ესმოდა ეოველს კუთხიდან: ეტლის თვლებისა გრიალიც ამას ეუბნებოდა, დაფიცა, რომელსაც ჰსცემდნენ იქ, სადა ჯარს ათამაშებდნენ. ბოლოს მოვიდა შინ და გული დაუმშვიდდა, რომ მამა შინ არ დახვდა. მარდად ავიდა თავის ოთახში და ბაღში ქვეშ ამოსდო ფული. ფული

აწუხებდა მას.

მის დღეში სტენის მამა არა ეოფილა ისე ბედნიერ და გულკეთილ როგორც იმ საღამოს. ზარიის გარდა მისუელიო ამბავი, რომ საფრანგეთის საქმე კარგად მიდისო. ვახშამზედ ამ ბერმა ჯარის-კაცმა შეხედა თავის თოფს, რომელიც წინ კედელზედ ეკიდა, და უთხრა თავის შვილს გულკეთილობის ღიმილითა:

– „აი აი, ზაწაწკუნავ, შენც წახვიდოდი ზრუსიელებზედ რომ დიდი ეოფილიყავ!“

რვა საათი იყო რომ დაიგრიალა ზარბახანმა.

– „ეს ჩვენები არიან.... ბურჟუაზი რამბენ,“ ჰსთქვა კეთილმა ბერი-კაცმა, რომელმაც როგორც თავისი სუთი თითი ისე იცოდა ეველა სიმაგრეები. ზატარა სტენი გაფითრდა, დაღალვა მოიგონა, წავიდა და ქვეშავებში ჩაწვა. მაგრამ მილი არ მოუვიდა. ზარბახანის გრილი კიდეე მოდიოდა. მას წარმოუდგა, რომ საფრანგეთის ჯარი წავიდა ზრუსიელებს თავს დაესხას და ამის მაგიერ ზედ შეეხლება ჩასაფრებულს და წინაღვე მომხადებულს ზრუსიელებს. მერე მოაგონდა ბებერი სერჟანტიცა, რომელმაც ღიმილით გამოაცხილა, მოეხვენა რომ იგი გართხმულია დედა-მიწაზედ, სისხლში ჰსცურავს და მის გვერდით ბევრნი სხვანი ჰჭრიან დახცილები!!... ამოდენა სისხლის საფასური დამალული არის აქ, ბალიშ ქვეშ,—და ამის მომქმედი თვითონ არის, თვითონ ბერიკაცის სტენის შვილი... ცრემლმა სული შეუკუება, მას მოესმა, რომ მეორე ოთანში მამა მისი დადის და ფანჯარაც გააღო.

მირს მოედანზედ ჯარს აკროვებდნენ. ერთი გუნდი მობილებიან ომში წასასვლელად ემხადებოდა. იქ კი მართლან ნამდვილი ომი ატეხილიყო.

საწვალმა გულ-ამომჯდარმა ბაშვმა ტირილი ვედარ შეიკავა.

– „რა დაგმართნია,“ ჰკითხა მამამ შვილსა, როცა მის ოთხში შემოვიდა.

ბაშვმა ვედარ გაჰსძლო, წამოხტა ქვეშავებიდამ და მამას ფეხებში ჩაუვარდა. დაიძრა ბაშვი თუ არა, რაც ფული იყო სულ მირს ჩამოცვივდა.

– „ეს რა ფულია? ნუ თუ მოგიწარავს?“ ჰკითხა ბერიკაცმა და მთელმა ტანმა ცახცახი დაუწყო.

ისე უამბო ზატარა სტენმა ეველაფერი რაც მოესდინა რომ სული არც კი მოუბრუნებია. რამოდენადც უამბობდა, იმოდენად გულზე თან-თან ეშვებოდა და თავისის სიტყვითვე ბრალის კისრად ალება გულს უმშვიდებდა. ელდა ნაცემი მამა ისმენდა ამ სახარელს ამბავსა შვილისასა. როცა ზატარა სტენმა თავისი აღსარება გაათავა, საწვალმა ბერი-კაცმა მიიფარა ზირის სახეზედ ორივე ხელი და ქვითინს მოჰქვა.

– „მამავ, მამავ!“ უნდოდა რაღაც ეთქვა ბაღლს, მაგრამ ბერიკაცმა ხელიდ განიმორა და ხმა არ გაჰსცა. მერე დაჰსწვდა და ფულებს ძირიდან კრეფა დაუწყო.

– „სულ ეს არის?“ ჰკითხა მამამა. ზატარა სტენმა თავი დაუქნია ჰოს ნიშნად.

ბერი-კაცმა ჩამოიღო კედლიდამ თოფი და ჩანთა, ჩაიწყო ჯიბეში ფულები და ჰსთქვა:

– „მამ კარგი!....მე ამ ფულებს ისევ ზრუსიელებს მივუტან.“

ამის მეტი აღარ ჰსთქვა რა. ისე ჩამოვიდა კიბეზედ მირს, რომ შვილისაკენ ერთხელაც აღარ მიუხედნია, გავიდა ქუჩაში და შაერთა მობილებს, რომელნიც საომრად მოდიოდნენ.

მას აქედ აღარავის არ უნახავს მოხუცებული სტენი. ეკ. ღვინია შვილისა.

ჩვენის ისტორიისათვის მასალა. *)

(დასასრული).

დროთა ამთ შემდგომად გარდაიცვალა შინაგანის აფხაზეთის მთავარი საფარ ბეგი შარვაშიძე წელს ქრისტესით 1821 თებერვლის ნ. და შემდგომად ამისა ამავე წელს მარტის ექვს ჰანან ბევ ქელაემ ბეგის მე მძა საფარ ბეგისა შეიპერეს რუსთა და წარიეგანეს რუსეთად. მცნობი ამისი ასლან ბევ შარვაშიძე მამის მკლველი, რომელი იყო თათართა შორის, მოვიდა აფხაზეთად, და ვინათვან არღარა ვინ იყო შემკვიდრე თვინიერ მცირეწლოვანთა მეთა საფარ ბეგისათა, ამისთვის მიძართა ეოველმან აფხაზეთმან და მოვიდენ ასლან ბეგისა და მისცეს ეოველთა ერთგულებისა ზირი. მაშინ ხელმწიფე იმპერატორმან, რა სცნა გარდაცვალემა საფარ ბეგისა, მიუბომა აფხაზეთისა მთავრობა მესა თვისსა (მისსა) დიმიტრის, რომელი იზრდებოდა სანკ-პეტერ-ბურღსა შინა, რომელი წარიეგანა საქართველოს მეფის ასულმან სამენგრელოს დედოფალმან ნინა, რომელი ზირველ აღუწერეთ. ესე გამოიეგანეს სასწავლებელისაგან, მიუბომა ჩინი ზოლოკონიკობისა და სხვა მრავალნი წუალობანი და გამოისტუმრა აფხაზეთს მთავრად. და რა მოვიდა საქართველოს უშირატეს მმართველთან ერმოლოვთან და მან წარმოუგ საზნა იმერეთის მმართველს თავადს გარჩაკოვს, და უბრძანა, რათა თვით წარევეს მხედრობითა და განდევნოს ასლან ბევ და დიმიტრი ჰქმნას მთავრად აფხაზეთა. მაშინ ბრძანებისა მებრ აღემხადა თავადი გარჩაკოვი და სთხოვა მხედრობა რამოდენიმე სამენგრელოისა მთავარსა ჩვენსა და სახელდობ გამოხთხოვა თავისი ჩემი მხედართ მძღვანად. წარვიდა თავადი გარჩაკოვი ორითა ბატალიონითა და თვისის არტილერიითა, თვით მთავარი ჩვენი ლეონ დადიანი მიჰქვა თავი სამხლვრამდე ღაღიძკამდე, და იქილამ მე გამატანა და ჩემთანა ლენხუმის მხედრობა ექვსისი კაცი და წარვედით და ოდეს მივედით ჩვენ

(* „ივეზია“ № 14.

ღალიძგას იქით ასლან ბეგ მოვიდა დაუკლებელის აფხაზ სპით და დასდგა მოაქვს და უნდოდა ვითამ ჰიზრდაზირობა ჩვენი.

გარნა სიმე ჩემი ალიბეგ შარვაშიძე, რომელი იყო შთამომავლობითა მაჰმადიან, უწინარეს ამისა ოთხითა წლითა მოვიყვანე მართალსა სარწმუნოებასა ქრისტეს ღვთისა ჩვენიასა, ნათელ ვეც და უწოდე ალექსანდრე და მივეც ცოლად ასული ჩემი კესარია. ესე იყო ძეგლობელი ნახევრის სრულის აფხაზეთისა, რომელსა უწოდებენ შვასოფელს. ესე მეოფე ასლან ბეგთან ვეზრახე და გარდამოვიბირე ჩვენ კერძო, აგრევე ცოლის ძმა ჩემი სალარუფუ მარშანია, რომელსა უსმენდენ სრული წებელნი და სხვანიცა, და იყო მას ჟამსა აფხაზთა შორის შემძლე კაცი. ესენი გარდმოვიბირენ და მოვიყვანე ჩვენთანა. ამისთვის ვერა დასდგა ასლან-ბეგ მოაქვს და წარვიდა. წარვედით ჩვენცა და რა მივედით წებას და დავებანაკეთ, მოვიდა იქ სალარუფუ მარშანია და გვაცნობა, რომელ გზასა ზედა ჩვენსა ზღვის ზირად, სადა ეწოდების ამიღვარა, მუნ შეუკრავს ოთხსა და ხუთსა ადგილსა საფარი ასლან ბეგს, სადა არა არს გზა თვინიერ მისა და მუნ სდგას აფხაზითა და ოსმალთ რამოდენიმე სპითა. მცნობი ამისი მეორესა დღესა განვემზადეთ და წარვედით და რა მივედით მუნ დანიშნულსა ადგილსა ვნახე თქმისაებრ სალარუფუსა ოთხსა და ხუთსა ადგილსა ძლიერ მაგარი და საბრძოლველად გაწეობილი საფრები, სადა არა ჰქონდა გზა არსით შემოსავლელი. და რა ვსცანით თვინიერ ამისა არა იქმნების რა, დავიწვეთ ბრძოლად და შეიქმნა სასტიკი ომი, სადა არა გამოირჩეოდა ზარბაზანთა და თოფთა ცემა და მოიკლოდენ საკაოდ კაცნი. და ვიბრძოლეთ რა სამ საათს, და ვსცანით, რომელ ზარბაზნითა და ესე ვითარისა ბრძოლითა ვერ განვდევნით მათ, მაშინ ერთიანად ვსთქვეთ და მიუტანეთ ერთში და ორ გზის მოუტანეთ ერთში მაგრამ ვერ აღვიღეთ ხოლო მესამე გზის სარდალთა და მხედართა განურჩევლად ერთიანად მიუტანეთ ერთში და აღვიღეთ უპირველესი საფარი და განვდევნეთ. გარნა კვალად დასდგენ მეორესა უკანა საფარსა მაგრათ, მაშინ რა ნახა თავადმან გარჩაკოვმა, რომელ გამხელდა საქმე, მერძომესა ჩემსა გამოართვა დრომა ჩემი და თვით მიუძღვა მხედრობასა და რამოდენისამე განვლისა შემდგომად მე მომცა დრომა და მე უძღორი მხედრობასა და ესე ვითარითა საქციელითა აღვიღეთ საფარნი და განვდევნეთ და სრულიად გავაქციეთ, სადა გვქონდა ბრძოლად გაუწვევდელი თექვსმეტსა საათსა და ესრეთ იბრძოლეს დღესა მას აფხაზთა, რომელ არას დროს მოთხრობილა ბრძოლად ესე ვითარი აფხაზთაგან და მოგვისწრო ღამემან და დაუსდევით მას ღამესა მდინარის მაჭარას ზირსა ზედა.

ხოლო დილა რა გათენდა წარმოვედით და კვალად მოგვინდომენ დახოთმა და რა ვნახეთ და იყო ცხენთა

შეტევებისა ადგილი, მაშინ ჩვენთა ლეჩხუმელთა შეუტყეს და მცირედისა სროლითა გააქციეს, და მრავალი დევნა უვეეს და განიბნინენ და მოვედით. თუბუნს (ესე იგი ცნობს) და ქალაქი და გარემო მისა სოფელნი და ეგრეთვე სასახლე შარვაშიძეთა სრულათ დაუსწვით და აღვაოხრეთ და მუნით მივედით აუეს ციხესა შინა; მუნ განვიხვეწეთ ოთხსა თუ ხუთსა დღესა შინა ბრძოლითა საკამოდ დამამურალოთა და განუსხვეწეთ მუნ დაკოდილოთა და ჩვენ წარვედით ზუფუს. და რა მივედით სასახლესა შინა შარვაშიძეთა, დავებანაკეთ და მოვიდენ ეოველნი ზუფუელნი, გარნა ნარჩოუ და გიორგი ინაღის შვილები არ მოვიდენ ჩვენთა, ვინაითგან ერთგულებდენ ასლან ბეგსა, ამისთვის განრისხდა თავადი გარჩაკოვი და წარგვაველინა საინაღის-შვილომიდ დასაოხრებლად მე და ჰოთალოკოვნიკი ივან ნიკოლაევიჩი თავადი აფხაზოვი. და რა წაველთ გზასა ზედა შევირიკეთ გიორგი ინაღიშვილი და მიუტვეთ დანაშაულობა მისი და ნარჩოუ არ მოვიდა. წარვედით და კაპეტის წყალის ზირსა ზედა დავებანაკეთ სასახლესა შინა შარვაშიძეთა, დავებანაკეთ და მოვიდენ ეოველნი ზუფუელნი, გარნა ნარჩოუ და გიორგი ინაღის შვილები არ მოვიდენ ჩვენთა, ვინაითგან ერთგულებდენ ასლან ბეგსა. ამისთვის განრისხდა თავადი გარჩაკოვი და წარგვაველინა საინაღის-შვილომიდ დასაოხრებლად მე და ჰოთალოკოვნიკი ივან ნიკოლაევიჩი თავადი აფხაზოვი. და რა წაველთ გზასა ზედა შევირიკეთ გიორგი ინაღიშვილი და მიუტვეთ დანაშაულობა მისი და ნარჩოუ არ მოვიდა. წარვედით და კაპეტის წყალის ზირსა ზედა დავებანაკეთ სასახლესა შინა ნარჩოუსასა და მუნით წარვე ვავენთ თარეშნი ჩვენნი ლეჩხუმელნი და მოათარეშეს მრავალნი ადგილნი და მოსდენეს მრავალნი ჰირუტეენი და სხვა ალაფი და მოვიდენენ. და შემდგომად დაუსწვით სასახლე ნარჩოუ ინაღიშვილისა და გარემო სოფელი ეოველი და ძელსა ზედა დავმოკიდეთ მუნ ორნი კაცნი შესაშმენებლად აფხაზთა. და თუშცა გვიევეს მცირედი სროლა იქა, მაგრამ გავაქციეთ მსწრაფლ და ესე ვითარი წარმატებით მოველთ კვალად ლუხუნს სასახლესა შინა თავადს გარჩაკოვსთან.

ხოლო შემდგომად სამისა დღისა შევაფიცეთ დიმიტრის ეოველი აფხაზეთი, მიულოცეთ ცერემონით მთავრობა. დაუტვეთ მცველი მხედრობა და მათორი რაკოცა და ესრეთის მოქმედებით წარმოვედით და მოვედით კვალად აუეს (რომელ-არს სოხუმს) და აუედამ თავადი. გარჩაკოვი წამოვიდა ზღვით და მერე თავადი აფხაზოვი და ეოველი მხედრობა ხმელით ვნახედ და თავისის უგვანის და არა მართლიადის საქციელისათვის ოქუშის წყლის ჰირზედ დავიჭირეთ ბეჟან მარღანია, რომელი ჟამსა მას დადიანის სამფლობელო სამურზაჯანოსა შინა იყო შემძლე კაცი და ესრეთ მშვიდობით წარმართებულნი მოვედით სასლადვე ჩვენსა.

ესე ვითარისა სამსახურისა ჯილდოთ გვიბოძეს მოწველება თავადს ღენერალ მაიორს ვანსაკოვს ბურნათის კოლოფი ბრიალენტი მოჰკვილი, თავადს აფხაზოვს ჩინი ზოლოვნიკობისა, მაიორს რაკოვს და მაიორს შულკანოვს მეოთხე ხარისხისა ორდენი წმინდის ვლადიმერისა და სხვათა აფიცართ მათ მათი შესაბამი. მე მიბოძეს ჩინი ღენერალ მაიორობისა, ჩემს ხელთქვეშეთა, მესა ჩემსა გიორგის ზოთ-ზორუნიკობა, რომელმანცა ქამსა მას წარმოახინა სახელოვანი მამაცური ქცევა, რომელიცა იყო ჯერეთ ერმა, თავადს ღევან გელოვანს ორდენი ვლადიმერის მეოთხისა ხარისხისა, რომელმანცა ვაჟკაცობითა ქამსა მას განახსვავა თავი თვისი, ვანტანგ ზაალის მეს ასათიანს ზრანორშიკობა, რომელიცა მცირედ დაიკოდა ხელზედ; სამურსაქანოველთ რომელიც მე მახლდენ თავადს თემურევა ანხაბამეს ზორუთიკობა და ჰენცია სიკვდილამდის, რომელიც გვემსახურა ჰერეოთიკობითა და სხვათა და სხვათა საქციელთა; თავადს შარვაშიძეს ორთა მძათ სუსულობასა და ზურაბს და თავადს დათა ანხაბამეს ზრანორშიკობა, და ეგრეთვე ალიბეგ შარვაშიძეს ზორუთიკობა და სალარუფუ მარშანიეს კაპიტნობა და სიკვდილამდის ჰენცია და ესრეთ ღირს ვიქმენით მონარხისა მოწველებისა.

ხოლო განმეგებული და გაქცეული ასლან ბეგ მივიდა ჯიქეთს და იმოყვანა საკოჯარი ჯიქისა, მოვიდა და მოადგა ჩვენთა დატყვევულთა მხედრობათა ღუსუნს და მაიორს რაკოვს. თუმცა მამაცად იუენენ ჯიქი და შემოურეს საფრითა, სადა იუენენ ჩვენნი მხედრობანი და მივიდენ მამაცად, მაგრამ რუსთა თვისის ჩვეულების უძლეველის მოქმედებით დაუწევს ბრძოლა და გააქციეს ჯიქი და მრავალნი მოჰკლეს და მრავალი ალაფი დააურევინეს და ესრეთ განემარჯვათ მცირედთა მხედრობათა ჩვენთა და სირცხვილეული წარვიდა ასლან ბეგ და მისი ჯიქინცა.

ხოლო შემდგომად მთავრობისა მისისა ერთისა წლის შესრულებამდის დასწეულდა მთავარი დიმიტრი საფარ ბეგის მე შარვაშიძე და საუბედურთ აფხაზთა გარდაიცვალა იგი წელს ქრისტესით 1822 და დაფლეს რუსთა დიდის ჰატივით ღუსუნისა სასახლისა ეკლესიასა შინა. ხოლო მიუწოდა საქართველოს უპირატეს მმართველმან იერმოლოვმან უმცირესსა მმსახ დიმიტრისასა მისხილს და მისცეს მთავრობა შინაგანის აფხაზეთისა და ჩინი მაიორობისა

ვინათგან ჯერეთ მცირე წლოვანი იყო. ხოლო ვანტანგ ბავრატოვანი, რომელი უწინარეს ვახსენეთ, იყო გადავარდნილი ახალციხეს ოსმალ თა შინა, და იყო მასთან იოანე ქაინოსროს მე აბაშიძე, რომელი ესეცა უწინარეს ვახსენეთ, ესე წარვიდა სტამბოლს ოსმალთ იმპერატორთა თანა (ესე იგი ხვანთქართან) და მიიღო ჰატივი, და რა მოვიდა მუნით შეეშურა რომლისამე მიხევისათვის ვანტანგ ბავრატოვანი, შეუხინა კაცნი და მოჰკლეს ახალციხეს იოანე აბაშიძე. წელსა ამას 1822 დეკემბერსა 12 გარდაიცვალა გიორგი ნიკოლოზის მე დადიანოვი საელოველად და საბავთოდ საზოგადოდ სახლ თა სამთავროთა დადიანთა; ვინათგან იყო კაცი ღირს სახსოვარი და საეუარელი. ეგრეთვე წელს ქრისტესით 1823 იანვრის 28 გარდაიცვალა ღენერალ-მაიორი და კავალერი იმერეთის სახლთ-უსრესი თავადი ზურაბ ქაინოსროს მე წერეთელი სიმამარი დადიანისა ღეონისა, რომელი იყო სრულიად იმერეთსა შინა ჰეუთა და კარგ კაცობითა წარმოჩენილი, და სახლთა შინა დიდებული. ამთ ქამთა მთავარმან ჩვენმან ღეონ დადიანმან მოიუვანა როსტომ ბეგ ქელაიპ აჰმედ ბეგის მე შარვაშიძე და მთამომავლობითა მამადიანი, ნათელსცა სახელსა ზედა ქრისტესა და ქრისტეიან ჰეო და მისცა დაი თვისი ქეთევან ნაცოლარი მანუხარ შარვაშიძისა ცოლად. თუმცა არა კეთილ ქცეულებისა მისისათვის უწერებოდა როსტომ ბეგს მმართველობა რუსთა, გარნა მთავრის დადიანის ჰატივისათვის მიუტევეს მას.

ხოლო ქამსა ამას სამეფოსა საქართველო იმერეთისასა უსაშვალოდ ჰფლობს დიდი ხელმწიფე ჩვენი ალექსანდრე ჰავლეს მე ჰირველი მშეობელი სრულიად რუსეთისა, სამთავროსა სამეგრელოსსა სრულიად ფლობს მთავარი ღეონ გრიგოლის მე დადიანი, გურიისა სამთავროსა ჰფლობს მთავარი მამია სიმეონის მე გურიელი. ავხაზეთისა სამთავროსა ჰფლობს მთავარი მისხილ საფარ ბეგის მე შარვაშიძე; ხოლო ამთ მთავრებდა ჰფლობს რუსეთის იმპერატორი, ალექსანდრე ჰავლეს მე ჰირველი და არს მშვიდობა გამოუთქმელი, რომელიცა უმეტესად დაამტკიცოს მომცემელმან კეთილისამან დემეტმან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Юнiя 1877 г. Типографiя Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდუის ავტორი, რედაქტორ-გამომცემელი **ნუგ ზარ ჭიანჭავაძე**
 სარედაქციო № 0030: **ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, ლალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი**
პროექტი: ივარია – ნანსულა ლაჩიანი – მომავლის მანქანა
 პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – განმეორებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აგვისტოს
მომავალი ზს „სამომავლო სახლი ქართული ელიტა“ საიდენტიფიკაციო №404852174
 მისამართი: გ. ლეონიძის 11ს; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com